

საპრეზიუმელო

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი, 17 ივნისი 1998 №93 (628) ფასი 50 თეთრი

უოტლანდია — ნორვეგია 1:1 ბრაზილია — მაროკო 3:0



დაზაფრული მაროკოელები თუკი ვინმეს უფრთხოდნენ და „დაჰანკალებდნენ“, ცხადია, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელ რონალდოს

REUTERS ნანტიდან

დღეს ორი მატჩია

ჩილე — ავსტრია

სენტ პიტიენი. 19³⁰

იტალია — კამერუნი

მონპელიე. 23⁰⁰



მეორე ტური
ჩრდილოეთთა ბრძოლით
განახლდა და ფრეთა რიგს
ერთიც შეემატა.
ბრაზილიელთაგან
ძლეულმა სქოთებმა
ნორვეგიელთა მიერ მეორე
ტაიმის დაწყებისთანავე
გატანილ გოლს კი
უბასუსეს, მაგრამ
ამასლა დასჯენ. კნ.
მსოფლიოს ჩემპიონებმა
შოტლანდიელებთან
მძიმე ბრძოლაში
მოგებას, აფრიკელებთან
ჩემპიონატის მეორე დიდი
ანგარიშით გამარჯვება
შეუნაცვლეს.
გუშინ ბირველად გაიტანა
რონალდომ, რომელმაც
ბრაზილიელები მეცხრე
წუთზე დააწინაურა.

ნორვეგია ტექნიკას უფრთხის

— აღრეც ვე ვთქვი, ნორვეგიელებს ტექნიკურ ფეხბურთელებთან ბრძოლა უჭირთ. პირველი ოცი წუთი შოტლანდიელებმა მეტოქეს მეტად ტექნიკური ფეხბურთი შესთავაზეს. რატომღაც ბრიტანულისგან განსხვავებული. სწორედ მაშინ დაერწმუნდი, ნორვეგია ტექნიკას ვერ იტანს. ყოველ ფინტს უხეშობით პასუხობენ, საკმარისია, მსაჯი ოდნავ მკაცრი იყოს, რომ რომელიმე ნორვეგიელს უმაღლესი მინდორს დაატოვებინებს. ჩვენ თუ ვიკინგებთან გამარჯვება გვსურს, მარტო

ინდივიდუალიზმის ხარჯზე მაინც ვერაფერს მივაღწევთ, ხომ ნახეთ, სქოთები ტექნიკას ფიზიკურ ძალასაც უნაცვლებდნენ. ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ, მაშინ ნორვეგიელებს კი არა, სხვებსაც ვაგამწარებთ.

რაც შეეხება ანგარიშს, ვფიქრობ, მატჩი ლოგიკურად დასრულდა. მეორე ტაიმის დასაწყისში გაშვებულმა გოლმა შოტლანდიელებზე კი იმოქმედა, კარგა ხანს მდგომარეობიდან ვერ გამოვიდნენ, მაგრამ ანგარიშის გასათანაბრებლად ძალა მა-


ინც შერჩათ. ბოლომდე იბრძოლეს, მეტოქეს მტკაველი არ დაუთმეს. გუშინდელი მშვიდობიანი გაყრის შემდეგ კი საკმაოდ კარგი შანსი დაიტოვეს მერვედფინალში გასასვლელად. ახლა უკვე ძნელი სარწმუნოა, რომ ნორვეგიამ ბრაზილიას მოუგოს, შოტლანდია კი მაროკოსთან დამარცხდეს. თუმცა ვინ იცის, არაა გამორიცხული, სამხრეთაფრიკელებმა ვიკინგებთან მატჩისას ჯერაც უთამაშებელი ფეხბურთელები გამოცადონ და მეტოქეს სასურველი შედეგის მიღწევაში დაეხმა-

ვესლეის კოპენტარი პლაჟიზა პაროზი

საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე

რონ. ისე, დასაკარგი უკვე არც მაროკოელებს აქვთ, ყოველმხრივ ეცდებიან გამარჯვებას, ვინ იცის, რა მოხდება. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ამ ჯგუფიდან ალბათ ბრაზილია-შოტლანდია გაველენ. ფინალამდე გზას კი ბრაზილია გააგრძელებს, ვატყობ, ისინი სასურველ ფორმასში ჯერაც არ არიან, მერვედფინალიდან ნაღდ თამაშს დაიწყებენ და მაშინ გამოჩნდება, არის თუ არა ბრაზილია საჩემპიონო გუნდი. ამათი თამაში დანარჩენებისთვის სამაგალითოდ გამოდგება, ტე-

ქნიკურ ოსტატობას ხომ საკმაოდ ფიზიკური მომზადებაც თან ერთვის. აი, ნორვეგიელებს კი ვერც ტორე ანდრე ფლოს მონდომებამ უშველა. გუშინდელ თამაშში ყველაზე გამორჩეული სწორედ ის გახლდათ, მაგრამ რად გინდა, პარტნიორებმა მხარი ვერ აუბეს.



ისინი დაუბრუნდნენ მსოფლიოს

მატჩი №18 16 ივნისი. ნანტი. სტად დე ლა ბოჟუარი. 33 266 მაყურებელი

ბრაზილია 3:0 მაროკო

1:0 რონალდო (9), 2:0 რივალდო (45), ბებეტო (50)



მეორედ ვიხილეთ ტიტულის შესაძენარუნებლად მებრძოლი მსოფლიოს ჩემპიონები და დავრწმუნდით, რომ ბრაზილიელთა საწინააღმდეგო არაერთი სუბიექტური არგუმენტის მიუხედავად, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს ძალუბთ კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნონ ოქროს თასი.

მსოფლიოს ჩემპიონატზე, ენახეთ, მაგრამ საინტერესოა, იყო კი რაიმე ცვლილება პირველი მატჩის შემდეგ? იყო და თან არა ერთი.

ჩემპიონატის გახსნის მატჩი მაინც გახსნის მატჩია, რაც უნდა იყოს, გარკვეული ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს და თან ერთგვარად სადაპტაციოც

რში ჯარიმის დანიშვნა ბრძანა, ბრაზილიელთა კაპიტანი დუნგა და ბებეტო სერიოზულად შელაპარაკდნენ — კაპიტანს ნაკრების ვეტერანი თავდამსხმელის ტოტალური უმოქმედობა არ მოეწონა და გვარიანად უყვირა. დუნგას შენიშვნის ბრალი იყო თუ რა, მეორე ტაიმი ბებეტომ აშკარად უკეთ დაიწყო და გოლიც კი გაიტანა, თუმცა, რომ არა რონალდოს უბრწყინვალესი მარცხენაფლანგური გარღვევა, 3:0 ალბათ არც გახდებოდა.

შემდეგ კი... შემდეგ იყო ტემპდაკარგვითი, თუმცა არა ინტერესმოკლებული ნახევარი საათი. ამ ხნის განმავლობაში ადვილი შესაძლებელი იყო, სხვაობას ხუთ-ექვს ბურთამდე მიეღწია, თუმცა ოკეანისგაღმდელი 3:0-ით დაკმაყოფილდნენ. ბებეტოს გოლის შემდეგ ბრაზილიელები შესაძრევად და, რაც უფრო სავარაუდოა, განზრახ მოეშვენენ, მაროკოელებმა კი, თავისუფლება რომ იგრძნეს, ერთი ორი გაინავარდეს, თუმცა ეს იყო და ეს: ტაფარელს ერთი ხეირიანი დარტყმაც კი ვერ შეჰყარდეს.

ზედზედ ორი მოგება შესანიშნავია. ბრაზილია, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ წვრთნის და ვინ თამაშობს, მაინც ბრაზილიად რჩება, იმ გუნდად, მუდამ ჩემპიონობისთვის რომ იბრძვის. ახლაც, მაროკოელებს გუნდიც სწორედ ჩემპიონობაზე აცხადებს პრეტენზიას. ენახოთ, რა მოხდება და როგორ, ამჟამად კი ერთი ვიცით — ახლა უკვე მერვედენილისტი ბრაზილია შემდეგ ეტაპზე B ჯგუფის მეორეადგილოსანს შეხვდება.

მამ ასე, ერთი მერვედენილისტი უკვე გარკვეულია.

ლუაზა გოდუაძე

მატჩის შედეგი

მარიო ზაბალო, ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: ჩვენ გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე გახსნის მატჩში შოტლანდიასთან. ამ შეხვედრაში აუცილებლად გვჭირდება



ელ ჰადრიუსი და ლეონარდოს (18) ორთაბრძოლებში უმეტესწილად ბრაზილიელი ნახევარმცველი იმარჯვებდა



ჟუნიორ ბაიანო (№14) მაროკოელთა თავდამსხმელი ბასირი არ გაახარა

გუშინ ბრაზილიამ დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვა და საკმაოდ ლაზათიანად ითამაშა.

აქამდე მეტოქენი ერთმანეთს ერთადერთხელ გადამწყობდნენ. შარშან, 9 ოქტომბერს, ბელეში მაროკომ სახელოვან სტუმრებს უმასპინძლა, ცდა არ დაუკლია, მაგრამ ვერაფერი გააწყო და წააგო. მაშინ ბრაზილიელებმა კი იმარჯვეს, მაგრამ ბედის უკუღმართობა რომ არა, სტუმრები გამარჯვებულნი ვერ გაბრუნდებოდნენ. გუშინ მაროკოელთა ფრანგმა მწვრთნელმა ანრი მიშელმა სწორედ ის მატჩი გაიხსენა, შარშან მეტოქის დასამარცხებლად ცოტა დაგვაკლდა, დღეს ხელახლა ვეცდებით საწადელის მიღწევას. მაროკომ სურვილი ვერ აისრულა — დამარცხდა და თან იმაზე უარესად, ვიდრე შარშან.

მაროკოელთა პირველი თამაშის შემდეგ გუნდის ლიდერად მუსტაფა ჰაჯი აღიარეს, კაცი, რომლის ძალისხმევამაც განაპირობა კიდევ ნორვეგიელთა ფრედ დასრულებული მატჩი. ამ შეხვედრამდეც ისინი, ვისაც მაროკოელთა წარმატებისა სწამდა, იმედებს სწორედ ჰაჯის უკავშირებდნენ. გუშინ მაროკოელთა მეშვიდე ნომერს ბევრი არაფერი გაუკეთებია დასამსხოვრებელი. შესაძლოა იმიტომ, რომ ტრავმირებული ფეხით თამაშობდა (ჰაჯის ფეხის თითი აქვს მოტეხილი, ტკივილის გასაყურებლად კი წამალს იკეთებს), თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ მაშინ რაც გააკეთა, მისი მაქსიმუმი იყო. როგორც ჩანს, ის მუსტაფა, რომელიც ნორვეგიელებისთვისაა საკმარისი, ბრაზილიასთან არაფერია, ეს კი გასაკვირი სულაც არაა.

ვერ ითამაშა ჰაჯიმ და აკი მოიშალა კიდევ მაროკოელთა წინა და უკანა ხაზების შემაკავშირებელი რგოლი. ფეხბურთელებს შორის შეუთანხმებლობას კი შეუძლებელი იყო, მარცხი არ გამოეწვია. ასეც მოხდა — პირველი 45 წუთი და მეორე ტაიმის ნახევარი ბრაზილიელებმა, როგორც ჩვევით, ძლიერად ითამაშეს. მეტოქე ყველანაირად დაჩაგრეს და უპირატესობასაც დიდს მიაღწიეს.

გუშინ მეორედ ენახეთ ბრაზილია ამ

გახლავთ. ასე რომ, მოქმედების თვალსაზრისით ბრაზილიელთა პირველი ორი თამაშში საგრძნობი სხვაობა რომაა, ეს, ვფიქრობ, გასაკვირი სულაც არაა. იგრძნობოდა ცვლილება ფეხბურთელებშიც — მოთამაშენი უფრო თავისუფლად თამაშობდნენ, დუნგა, კაფუ და, რაღა თქმა უნდა, რონალდო კი უბრალოდ ბრწყინვალედ ირჯებოდნენ. ძნელია მათ მოქმედებას მხოლოდ და მხოლოდ თამაშში უწოდო, ეს უფრო ხელოვნება გახლდათ უნიჭიერეს ოსტატთა შესრულებით.

25 მარტს შტუტგარტში გერმანელებთან 2:1 მოგებულ შეხვედრაში გატანილი გოლის შემდეგ რონალდომ საწარმოო თამაშში გოლი ვერ იქნა და ვერ გაიტანა. სქოთებთან მატჩშიც უშედეგოდ ჩაიარა. გუშინ კი ზედზედ ორგზის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა გუშინწინდელი სიტყვები რეალობად აქცია — ორმახათს რონალდომ თქვა, წარუმატებლობა გვარიანად გამიგრძელდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გატანილ ბურთებს მაროკოელებთან მატჩში დავუდებ სათავეს.

ასეც მოხდა — მილანის „ინტერის“ თავდამსხმელმა თანაგუნდელის პასი შეიშნო და დაახლოებით თერთმეტმეტრიან ნიშნულს მიახლოვებულმა უძლიერესად დაარტყა — 1:0. ბრაზილიამ მერვედენილის საგზურს ხელი წაავლო და უბისკენ გაიქანა.

გატანილი გოლის შემდეგ ბრაზილიელები ერთიანად გაიხსენს, ლალი თამაში იწყეს. პატარ-პატარა სანახაობებს აწყობდნენ. ამ მომენტში ბებეტოს, რივალდოს, თუნდაც იმავე რონალდოს ჰქონდათ საგოლე მანისები, თუმცა მომენტებს ვერ იყენებდნენ.

ზედ შესვენების პირზე მაროკოელთა თავგზაბუნებულმა მეკარემ მეორედ გამოიტანა ბურთი კარიდან. გუნდებიც მალე გასახდლებში გაემართნენ.

შესვენებამდე 45 წუთში ბრაზილიამ აშკარად დაჯაბნა მაროკო, თუმცა ერთხელ კინაღამ დაისაჯა — ჟუნიორ ბაიანოს უხეშობის შედეგად დაწვენილი ჯარიმა მაროკოელებმა გოლად ვერ გარდასახეს. სწორედ ამ მომენტში, როცა მსაჯმა ტაფარელის კა-

1. ტაფარელი

2. კაფუ 5. სეზარ სამპაიო 4. ჟუნიორ ბაიანო 3. ალდაირი

18. ლეონარდო 8. დუნგა 10. რივალდო 6. რ. კარლოსი

9. რონალდო 20. ბებეტო

8. ჩიბა

9. ჰადა

7. ჰაჯი

6. ნაიბეტი

20. ელ ხალუგი

14. ბასირი

3. ელ ჰადრიუსი

18. ჩიპო

4. როსი

2. საბერი

12. ელ ბრაზი

მაროკო

შეცვლა: სეზარ სამპაიო — 17. დორიგა (68), ბებეტო — 21. ედმუნდო (72), საბერი — 15. აბრამი (76), ჩიბა — 17. ამზინი (76), რივალდო — 19. დენილსონი (88)

გაფრთხილება: სეზარ სამპაიო, ჟუნიორ ბაიანო, ჰადა, ჩიბა

მთავარი მსაჯი: 5. ლეენიკოვი (რუსეთი)

გამარჯვება, რასაც მივაღწიეთ კიდევ. შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ. გუნდს თანდათან ეტყობა წინსვლა, მაგრამ იმის თქმა, რომ ჩვენი თამაში იდეალურია, ჯერ ადრეა. იმედი მაქვს, კიდევ მოვუმატებთ და საკუთარ შესაძლებლობებს ყველას დაუშვტოცებთ.

ანრი მიშელი, მაროკოელთა ფრანგი თავკაცი: ჩვენი მარცხის მთავარი მიზეზი საშინელი დასაწყისი იყო. ბრაზილიელებს დიდი სივრცეები დაუთმო და თავისუფლად თამაშის საშუალება მივეცით. ამას ისიც დამატა, რომ ბურთი ძალიან მალე გავუშვით. ფეხბურთელები დაცვაშიც და შეტეგებშიც ორგანიზებისას უამრავ შეცდომას უშვებდნენ, ამას კი ბრაზილიის ღონის გუნდი არ გააბატონეს. ეს მართლაც მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრებია და ტურნირის ფავორიტად მიმაჩნია. რაც შეეხება შედეგს, ჩვენი ცუდი თამაშიდან გამომდინარე იგი კანონზომიერად მიმაჩნია, თუმცა დრო და ჯგუფიდან გა-

სვლის შანსი კიდევ გვაქვს.

დუნგა, ბრაზილიის ნაკრების კაპიტანი: გამარჯვებით ბედნიერი ვარ. ბიჭებმა მართლაც მშვენივრად ითამაშეს და დასასურებულად მოვიგეთ. მაროკოელებს კარგი, ტექნიკური გუნდი ჰყავთ, მაგრამ გამოცდილება მაინც ბევრს ნიშნავს. ძალიან მისხარია, რომ ბრაზილია პირველი გავიდა მერვედენილში. რაც შეეხება ჩემსა და ბებეტოს შორის მომხდარ შელაპარაკებას, ეს უბრალოდ ორი მოთამაშის კამათი იყო, რომელიც კონფლიქტსა თუ განხეთქილებას არ გადაზრდილა. მე მხოლოდ ის ვუთხარი მას, რომ ჯარიმის დროს ბურთის წინ დამდგარიყო და თავისი საქმე უფრო ენერგიულად ეკეთებინა. ეს იყო და ეს. როდესაც ბებეტომ გოლი გაიტანა, მასთან მივიბრუნე და სხვა ფეხბურთელებთან ერთად გულწრფელად მივულოცე. მოკლედ, ამაზე საუბარიც არ ღირს. მთავარია, რომ გულშემატკივრებს ლამაზი ფეხბურთი ვაჩვენეთ და კიდევ ერთხელ გავახარეთ.

მატჩის სტატისტიკა

8. ნუთი. რივალდომ წინ გამოსული მეკარე შენიშნა, შორიდან სცადა გოლის გატანა, მაგრამ ააცილა.
9. რონალდომ იყოჩაღა. ცენტრიდან პასი დაუბრუნებლად გოლად გარდასახა.
25. კარლოსმა მარცხნიდან ჩაანოდა, რონალდომ ოდნავ დააგვიანა.
27. ლეონარდომ საჯარიმო კარლოსს დაუგორა, ამანაც დაარტყა, მაგრამ კედელს მოახვედრა.
36. კუთხურიდან მიწოდებული მაროკოელმა ჩიბამ კარს ოდნავ ააცილა.
40. მაროკოელთა მეკარე უხეშად შეცდა და ჰადას ფეხიდან ასხლეტილი, მცველის თავური რომ არა, კარში გავიდოდა.
45. ბებეტოს დაწყებული შეტევა კაფუმ გააგრძელა, ამანაც კარის გასწვრივ ჩაანოდა და რივალდომ შეაგდო.
49. ბებეტოს თავური გაჭირვებით მოიგერია ბენზეკრმა.
50. რონალდომ ცრუ მოძრაობით უკან ჩამოიჭოვა როსი და ბებეტოს გაატანინა.
57. ისევ რონალდო — ბებეტო. ამჯერადაც რივალდო ურტყამდა, მაგრამ მეკარემ დაასწრო.
67. ჰაჯის დარტყმული კარს საკმაოდ აცდა.
70. რონალდომაც ააცილა.
85. ბასირმა ამზინს დაუგორა, თუმცა მისი საჯარიმოს ხაზიდან დარტყმული მეტად უხეირო გაშიდგა.
90. აბრამმა შორიდან ტაფარელის კარს საკმაოდ ააცილა.

დღეს და გაისად



მატჩი №17. 16 ივნისი. ბორდო. სტად ლესიური. 30 236 მაყურებელი

შოტლანდია 1:1 ნორვეგია

1:0 ჰ. ფლო (46), 1:1 ბარლი (67)



გინაზავთ მოხტუნავე ბურთი? რა კითხვაა, მეტყვით, ბურთი რაიმე საგანს რომ მოხვდება, დახტის.

კი მაგრამ, საგანსა და ფეხბურთელს შორის ხომ არის განსხვავება? განა ფეხბურთელმა ეს მოხტუნავე მრგვალი და ჩინებული რამ არ უნდა დაიმორჩილოს, რათა კარში შეაგდოს?

თუმცა, ზედმეტი მომდის. გუშინდელ მეტოქეებს, ნორვეგიელებსა და შოტლანდიელებს სტილი აქვთ ასეთი: ბურთს ფეხთან არ იჩერებენ, წინ აწვდიან და თავურებს ურტყამენ. ამიტომაცაა, რომ სხვანაირი ფეხბურთის მიმღევი გუნდები მათთან თამაშის დროს ყველა ლონგს ხმარობენ, რათა ბურთი დაიმორჩილონ ანუ თავად აგორონ, შემდეგ ხელსაყრელი მომენტი იხელთონ და კარი დაუღაშონ.

გუშინ ბორდოში ორივე ნაკრები იმას ცდილობდა, ბურთი არ გაეჩრებინა, ერთმანეთისთვის მის წინ გადაგდებასა და თავურის დარტყმამდე ეჯობნა.

ორივე სიტყვით სატურნირო მდგომარეობის შესახებ პირველ მატჩში სქოთებს ბრაზილიასთან 1:2 ჰქონდათ წაგებული, ნორვეგიას კი მაროკოსთან 2:2 ერთ ქულას ანიჭებდა. აქედან გამომდინარე, ორივე გუნდს მოგება სწყუროდა, ფრე კი ალბათ უფრო შოტლანდიელებს აწყობდათ, რამეთუ ბოლო დღეს ისინი მაროკოს ხედვებიან, ნორვეგიელები კი ბრაზილიელებს.

ისე, ვინ თქვა, რომ ბრიტანელები მაროკოს აუცილებლად მოუგებენ? ვინ თქვა და, ძველმა სტერეოტიპმა, რომელსაც მუსტაფა პაჯისა და მისი თანაგუნდელების თამაში არ უნახავს.

შოტლანდიელები ნორვეგიელებთან შეხვედრაში უფრო შეტევაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ნორვეგიელებს ფორმალურად კონტრშეტევა სურდათ. ასეთი აზრისკენ მათი განლაგება გვიბიძგებს. სქოთები სამი მცველი, ხუთი ნახევარმცველი და ორი ფორვარდით იყვნენ მოედანზე, ნორვეგიელები 4-4-2-ს თამაშობდნენ.

სხვა საჩუქარ, შეხვედრის განმავლობაში თამაშის სურათი რომ იცვლებოდა. თავიდან შოტლანდიამ შეუტია, მერე ნორვეგიამ გადაიტანა სიმძიმის ცენტრი მოედნის შუისკენ. შემდეგ კი ისევ სქოთებმა გადაწყვიტა ბოკირი.

შოტლანდიელთა გუნდში ინგლისური „დერბი ქაუნთის“ 25 წლის განაპირა ნახევარმცველი კრისტინ დელი იაყრობდა ყურადღებას. 22 ნომრით მოთამაშე ამ ფეხბურთელმა ფრად ჩქარა ირბინა წინ და უკან და საკმაოდ (მეტადრე პირველ ნახევარში) დაჩაგრა უშუალო ოპონენტი.

პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა, მეორეში კი გუნდებმა თითო გაუტანეს ერთმანეთს.

თავიდან ნორვეგიელებმა დალაშქრეს ბრიტანელთა კარი. შეტევა მარცხენა ფრთიდან დაიწყო და გერმანული „ვერდერის“ წევრის პავარდ ფლოს გაწოლილი და შედეგიანი თავურით დასრულდა. შემდეგ შოტლანდიამ მოიკრიბა ძალ-ღო-

ნე, ნელ-ნელა მოვლენები „ვიკინგთა“ საჯარიმოსკენ გადაიტანა და გაქვითა. გოლი „სელტიკის“ კრეიგ ბარლიმ გაიტანა. მან ოსტატურად გადაუგდო სიღრმიდან მიწოდებული ბურთი თავზე ლონდონის „ტოტენჰემის“ გოლკიპერს ფროდ გროდასს.

გათანაბრების შემდეგ კვლავ სქოთები უტევდნენ. ნორვეგიამ ვეღარ შეძლო მათი უკან გაწევა, მაგრამ აღარც გაუშვა, უფრო სწორედ შოტლანდიელებმა ვეღარ გაიტანეს.

ალსანიშნავია ნორვეგიელთა დაცვის ხარვეზებიც. საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში არცთუ იშვიათად უშვებოდნენ მოწინააღმდეგე თავდამსხმელებს დაცვის ხაზს შუა. ნორვეგიელებს თითქმის ყურადღება და ურთიერთდაზღვევა აკლდათ.

ჩვენ, ცხადია, იმ თამაშის წარმოდგენას ვცდილობდით, გაისად თბილისსა და ოსლოში რომ გაიმართება. ცხადია ისიც, რომ საქართველო — ნორვეგია და ნორვეგია — საქართველო გუშინდელთან შედარებით: სხვა შინაარსის შეხვედრა იქნება. ქართველები შოტლანდიელებსავე სწრაფად მორბენალი და ბურთის ორთაბრძოლებში გადამგდები ხალხი არ ვართ. ჩვენ, ზემოთ რომ ვახსენეთ, ბურთის გამჭერებელ-დამხორჩილებელთა რიგებს განეკუთვნებით, მაგრამ საქმარისა ბურთის ფლობა და ზოხინი ერთმანეთში ავსრით, რომ ეჭვი არაა, ჯანდონით აღსავსე ნორვეგიელები მოგვიგებენ.

არა, ბრძოლა ბრძოლა უნდა იყოს, წართმევა წართმევა. ეს ბურთის ფლობასა და გაგორებას თუ ფინტს ხელს არ უშლის.

ახლა რომ ვთქვათ, ნორვეგიელებს მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ჩაგარდა ელით და ჩვენი შანსიც ეს არის, ტყუილი გამოვა. როგორც ვთქვით, მათთან თამაშშიც ცხრა თვეა დარჩენილი, ცხრა თვეში კი მეტოქე ჩაგარდნასაც მოასწრებს (თუ საერთოდ ექნა ასეთი რამ) და გამოკეთებასაც.

მაშ, იქნებ ჩვენი შანსი მწვრთნელის შეცვლაში უნდა ვეძებოთ? ნორვეგიის ახლანდელი თავაკაცი ეგილ ოლსენი ზომ



ჰენრი ტორე ანდრე ფლოს (№9) ხანდახან ასეც უშვლავდებოდა

მსოფლიოს პირველობის მერე თანამდებობიდან მიდის. იქნებ ამან მცირე გავლენა მართლაც იქონიოს, მაგრამ გამორიცხულია ოლსენის შემცვლელს საფეხბურთო ცოდნა და წვრთნის უნარი აკლდეს. უბრალოდ, გამორიცხული არაა, ძალიან კარგი მწვრთნელის ნაცვლად გუნდის სათავეში კარგი მწვრთნელი მივიღეს.

მოკლედ, ნორვეგიელებთან ბრძოლა გველის. ნაღდი, ვაუკაცური ბრძოლა და გეიგობა, თავი არ მოვიტყუოთ. არ ვიფიქროთ, რომ რაკი ბურთის გაჩერება ასე თუ ისე გვეხერხება, ზოხინით (ამას უნდა ვუფროსოდეთ) გავიმარჯვებოთ.

გუშინ ბორდოში კი ბურთი ძალიან დახტოდა.

ილია ბაგვაშვილი

მატჩის შედეგი

გიორგი ოლსენი, ნორვეგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: გულდაწყვეტილი ვარ მატჩის შედეგით. ახლა ჯგუფში მდგომარეობა მეტად გართულდა, რადგან ბოლო ტურში შოტლანდიელები მაროკოს გუნდს ხედებიან. ეს კი, დამთავრებით, იმაზე გაცილებით ადვილია, ვიდრე ბრაზილიელებთან და პირისპირება. მართალია, მერვედფინალში გასვლის შანსი კიდევ გვრჩება, მაგრამ ეს სასურველი სიტუაცია ნამდვილად არ არის. ჩემი ნაკრების თამაშით უკმაყოფილო ვარ, რადგან მეტოქეს ადვილად მანერირების საშუალება მიეცემა და მისი საჩივართო შეტევების აღკვეთა ვერაფრით შეგვეძლება. გატანილი გოლის შემდეგ მცირე ხნით უპირატესობას კი ვფლობდით, მაგრამ რატომღაც თამაშის სადავეები ხელიდან გავუშვით და ინიციატივა კვლავ შოტლანდიელებმა იგდეს ხელი.

საპასუხო გოლმა ბიჭები დააბნია. მათი თამაში ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული იყო და გაგვიმართლა, თორემ წაგებდნენ. ვეღარ ვადაურჩებოდით. ყველაზე ცუდად დღეს ჩვენმა დაცვამ ითამაშა.

ფეხბურთელები ერთმანეთის მიყოლებით ორ ზუსტ პასსაც კი ვერ აკეთებდნენ. გატანილი გოლი ზომით ლიანად უკანა ხაზის „დასასხურება“.

საბოლოოდ მხოლოდ იმის თქმა მიწია, რომ ჩვენი ჩამოწერა ჯერ კიდევ ადრეა. შოტლანდიის მერვედფინალში გასვლის შანსი არ დაუკარგავს და თავის სიტყვას მაინც იტყვის. ვფიქრობ, ბრაზილიელები შემდეგ წრეში გასვლას დღესვე განაღდებენ და ამიტომ მთავარი ბრძოლა დანარჩენ სამ გუნდს შორის გაჩაღდება.



კრეიგ ბარლი ორ ნორვეგიელ მცველს დაუსხლტა და აბრაგანით გაათანაბრა

შედეგები
ნიშნით

1. ლეიტონი

4. კალდერგული

5. ჰენდრი

3. ბოილი

8. ბარლი

10. ჭეკსონი

11. კოლინზი

14. ლამბერტი

22. დეილი

9. დიური

7. გალაპერი

17. ჰ. ფლო

9. ტ. ა. ფლო

22. სტრანდი

6. სოლბეკენი

10. რეკალი

21. რისეტი

4. ბერგი

3. იონსენი

15. ეგენი

5. ბიორნბიუ

1. გროდასი

ნორვეგია

შეცვლა: კალდერგული — 16. ვეირი (60), ჰ. ფლო — 11. იაკობსენი (61), ჭეკსონი — 2. მანამარა (62), რისეტი — 18. ოსტენსტადი (73), ბერგი — 2. ჰალე (82)

გაფრთხილება: დიური, ჭეკსონი, რეკალი, ბერგი

მთავარი მსახი: ლ. ვაგნერი (უნგრეთი)

მატჩის სტატისტიკა

4 ნუთი. ჯონ კოლინზი მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა, კარგადი ჩაანოდა, მაგრამ დეილის თავურს არს მცირე მანძილით ასცდა.

9. ნორვეგიელთა საჯარიმოში არეულბა შეიქმნა. ბურთი გორდონ დიურის მიუვიდა, მაგრამ გაეცა და გროდასმა დაასწრო.

13. კვლავ ფლანგური შეტევა. კეინი გალაპერმა მარცხნიდან ჩაანოდა და დიურის თავზე დასვა, მაგრამ ამ უკანასკნელმა კარს ცოტათი ააცილა.

27. კოლინზმა მეტოქის საჯარიმოს ხაზთან მცველს თავზე გადაუგდო და შეუჩერებლად დაარტყა, ოდნავ არაზუსტად.

28. ნორვეგიელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, ბურთი ორარ სტრანდს მიუვიდა, რომელიც საჯარიმოში შეიჭრა და მახვილი კუთხიდან დაარტყა. ბურთი ჯერ ჰენდრის, ხოლო შემდეგ მეკარეს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა.

35. ფლანგიდან ჩაანოებული რისეტი თავით ტორე ანდრეს ფლოს გადაანოდა, მაგრამ მეკარემ იყონა.

38. კრეიგ ბარლიმ მარჯვენა ფრთიდან ჩაპკიდა. პასს პირველი დიური გამოიგზავნა და ზუსტად დაარტყა, თუმცა ძალიან სუსტად.

39. ნორვეგიელთა საპასუხო შეტევა. ბურთი საჯარიმოში სტელე სოლბეკენამ მიიღო, სწრაფად დაამუშავა და უძლიერესად დაარტყა, მაგრამ ცოტა ხნით მოუვიდა.

40. შოტლანდიელებმა კვლავ ფლანგური შეტევა განახორციელეს. მაღალ ჩაანოებულს აქტიურმა დელიმ თავი დაუხვედრა და რომ არა კარმდგარი ნორვეგიელი მცველი, რომელიც ბურთი თავითვე გამოიტანა, ანგარიში გაისწვებოდა.

46. მატჩის განახლებიდან რამდენიმე წამში რისეტიმ მარცხენა ფრთიდან ჩაანოდა, პავარდ ფლო კი ბურთს ჩაუნდა და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა.

50. სტრანდმა კარის გასწვრივ გამჭოლი გადაცემა გააკეთა, ხოლო ტორე ანდრე ფლომ ცოტათი დააგვიანა.

66. კრეიგ ბარლიმ მოედნის სიღრმიდან მშვენიერი, დაახლოებით 50-მეტრიანი პასი მიიღო და კარიდან გამოსულ გროდასს ბურთი თავზე გადაუგდო. ანგარიში გაათანაბრა.

71. მატჩის განახლებიდან შემდეგ შოტლანდიელები გააქტიურდნენ. ბარლიმ კუთხური მოანოდა, მაგრამ დეილის თავური ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

75. მრავალსერიანი კომბინაციის შედეგად ბარლიმ მონიშნულმდევის საჯარიმოს ხაზთან ბურთი მიიღო და ძლიერად დაარტყა, მაგრამ გროდასმა ლამაზ ნახტომში მოიგერია.

83. ბარლის ფლანგური გარღვევა ჩაანოდა მოკცა, მაგრამ დიურიმ კვლავ ვერ იფარა და სუსტად დაარტყა.

87. პოლ ლამბერტმა საკმაოდ შორიდან ძლიერად დაარტყა და ააცილა.

90. მსაჯის მიერ დამატებული დროში შეცვლაზე შესული იაკობსენი ლეიტონთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა.

...1982 წელი. ესპანეთში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. ჯგუფური ტურნირები სრულდება. ფავორიტებად გერმანია, ბრაზილია, არგენტინა, საფრანგეთი ითვლებიან, თუმცა ჯერ კიდევ არაფერია უწყისი, რომ მსოფლიოს ჩემპიონი იტალიის ნაკრები გახდება. ამას ვერაფერი წარმოადგენდა. გუნდი, რომელიც ქვეყნებში ვერც ერთი მატჩი ვერ მოიგო, შინ თასით დაბრუნდა.

მეორე ეტაპზე და საერთოდ ფინალისკენ მიმავალ გზაზე „სკუადრა აძურას“ სამი მსოფლიოს ჩემპიონი ჩამოიშორა — ბრაზილია, არგენტინა და გერმანია. საბოლოოდ იტალია ბრაზილიელთა შემდეგ მეორე ქვეყანა გახდა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატი მესამედ მოიგო. თუმცა მანამდე იყო ძლივს დაძლეული პირველი ბარიერი — ჯგუფური ტურნირი. პირველ ორ შეხვედრაში იტალიამ ფრედ ითამაშა პოლონეთის და პერუს გუნდებთან. მესამე და საბოლოო შეხვედრაში კამერუნთან კი აუცილებლად უნდა მოეგო, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფრე მაინც ეთამაშა. ენცო ბერაზოლის რჩეულებმა კამერუნელთა დამარცხება ვერ მოახერხეს. თუმცა მეტი გატანილი გოლის წყალობით ჯგუფიდან გადვინდნენ, მერე კი...

ახლა, 16 წლის შემდეგ, მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იტალია კვლავ კამერუნს უპირისპირდება. მართალია, ეს არაა ბოლო ჯგუფური შეხვედრა, მაგრამ ძალიან დიდი დატვირთვა რომ აქვს, ფაქტია. თუ „სკუადრა აძურას“ მსოფლიო ჩემპიონისთვის ბრძოლის გაგრძელება სურს, ეს შეხვედრა აუცილებლად უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში არაა გამორიცხული, ევრო-96-ზე მათ თავს დატყევილი კრახი განმეორდეს.

„ერთად თუ ცალკე? საკითხავი აი ეს არის!“ — აცხადებს „გაბეტო დელო სპორტი“ და კამერუნელებთან მატჩში იტალიელთა ტაქტიკის გამოცნობას ცდილობს. აპენინებზე ამ მეტად პოპულარული გაზეთის სპეციალისტებს მიაჩ-

ნათ, რომ თუ გუნდს მერვედფინალში გასვლა სურს და თან იქ ბრაზილიელებთან შეხვედრის თავიდან აცილება, მაშინ პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი ახლავს უნდა გადადგას აფრიკელებთან ჩეხარე მალდინი სამი თავდასხმელი უნდა გაამწესოს, რაც თავისთავად დიდი ანგარიშით გამარჯვების საწინდარი იქნება. თუ საკითხი კიდევ ერთი ფორვარდის დამატებას ეხება, ძალიან საინტერესოა, მწვრთნელი ვის შეარჩევს. საგარეოდ ეს მოთამაშე ალესანდრო დელ პიერო იქნება, ვინაიდან ენრიკო კიეზას და ფილიპო ინფანტინოსთან თამაში ძალიან სუსტად შეფასდა. აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, მათ მომდევნო შეხვედრებში ჩააგდონ. დელ პიერო, კი პირიქით — ნაკრებში ადგილის დასამკვიდრებლად ძლიერად ითამაშებს.

რა როგორ იქნება და ვის ანდობს მწვრთნელი ძირითადში ადგილს, ამას თამაშის დაწყებისას შევითვალთ. მანამდე კი მხოლოდ პროგნოზებით დაგკმაყოფილებთ.

ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ერთი და იგივე ზომის ბუცები გვაცვია, ორივენი ერთი წონისანი ვართ, სიმაღლეც ერთნაირი გვაქვს, ასე რომ, ნაკრებისთვის, ვფიქრობ, არ აქვს დიდი მნიშვნელობა, მე ვითამაშებ თუ როგორ. მთავარია, გუნდმა გაიმარჯვოს — საზარდულის ტრავმამოშუშებელი ალესანდრო დელ პიერო ჟურნალისტებს თითქმის ორი საათი ემუთხავებოდა. რომ ჰკითხეს, თქვენს და რობერტოს შორის განსხვავებას რაში ხედავთ, „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა უპასუხა, რომი დაქორწინებულია, მე კი არაა.

ვერაფერს იტყვი. კარგია, როცა ადამიანი კარგ გუნდსაა. დაძაბული მატჩის წინ განმუხტვისთვის ამაზე უკეთესი არაფერია, თუმცა ხუმრობაცაა და ხუმრობაც. გადამეტებული არაფერი ვარგა.

დელ პიერომ კი თქვა, არ აქვს მნიშვნელობა, მე ვითამაშებ თუ როგორ. მაგრამ ეს რომ ზრდილობის გულისთ-

ბარისკაპს კი ჩეხარე



ჩეხარე მალდინის სიფრთხილ სალაპარაკო გაუხდა...
თუმცა ჩერ ავტოგრაფების მსურველნი არ აყლია

ვისა ნათქვამი ამას ბავშვები მიხვდნენ. აბა, რომელ ფეხბურთელს არ სურს ნაკრებში თამაში. მწვრთნელის გადაწყვეტილების გამო ბევრ მოთამაშეს გაუფუჭება ერთმანეთთან ურთიერთობა. მართალია, რობერტო ბაჯოს და ალესანდრო დელ პიეროს შორის შუღლი არ ჩამოვარდნილა, მაგრამ ამის საკმაოდ სერიოზული წინაპირობა რომ არსებობს, ფაქტია. ისე კი ყველაზე არასასურველი, რაც ახლა იქნებოდა „სკუადრა აძურასთვის“ ეს ფეხბურთელთა შორის შეუღლია — ასეთ დროს, პირიქით, ერთ მუშტად შეკრა და ერთმანეთის გამხეცება საჭირო.

თუმცა კიდევ ერთი ვარიანტის შესახებ — დელ პიერო ცენტრალურ თავდამსხმელად გავამწესოთ, რობერტო ბაჯო და კრისტინა ვიერი კი ფლანგებზე. აზრი საკმაოდ პრესტიჟულმა „ტუ-

ტოსპორტმა“ წამოაყენა. სხვათა შორის, ამ აზრს იტალიის პრემიერ-მინისტრი რომანო პროდიც გამოეხმაურა — დელ პიერო — ბაჯო — ვიერის სამეული უძლიერესია, ამით ჩვენი ქვეყანა მხოლოდ მოიგებო.

მართლაც საინტერესო ვარიანტია. ეგებ დღეს უკვე არც ერთი გულშემატკივარი აღარაა ცოცხალი, ვისაც სამი ფორვარდით მოთამაშე იტალია უნახავს. ბოლოს ასეთ თავქუდმოგლეჯილ შეტევას იტალიამ როდის მიმართა, ძნელი გასასხენებელია.

არა, დღევანდელ შეხვედრაში იტალიელთა ტაქტიკა მართლაც ძალიან საინტერესო იქნება. სამი თავდამსხმელით თამაში აპენინელებს ალბათ წაადგება, რადგან მათი მეტოქე, კამერუნი, არ განეკუთვნება იმ გუნდთა კატეგორიას, რომლებიც დახშულ ფეხბურთს თამაშო-

ბენ. „მოუთვინიერებელი ლომები“ (კამერუნელთა გუნდის მეტსახელია) რაც არ უნდა იყოს აფრიკელები არიან, შავი კონტინენტის გუნდებს კი საფეხბურთო გულბრუნვითაა ახასიათებთ. მათ არ იცინა საკუთარი კარის დაცვა, მუდამ გოლზე უჭირავთ თვალი, ამის გამო კი ხშირად მარცხდებიან კიდევ უფრო, უმჯობესია, კამერუნელები დღეს შეტევაზე იფიქრონ, მაგრამ მიუხედავად ამისა, საეჭვოა ჩეხარე მალდინი გარისკოს და სამი თავდამსხმელით ითამაშოს. რაც არ უნდა იყოს, იგი მაინც დაცვის მოყვარული, წმინდა იტალიური ფეხბურთის მიმდევარია.

იტალია იტალიად. გაიმარჯვებენ თუ არა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები, ამას დღეს დავინახავთ. თუმცა იმის თქმა, რომ „სკუადრა აძურას“ აფრიკელი მეტოქის ძლევა საკმაოდ გაუჭირდება, უკვე შეუძლებელია.

მე არ მინდა, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩემი ფეხბურთელები მსაჯს მიეჭრნენ და აყალბაყალი აუტყვონ, შეხვედრა ადრე რატომ დაამთავრო. თუ გვინდა მარცხს თავი დავადლოთ, უნდა მოვიგოთ. კამერუნი საამისოდ იბრძოლებს კიდევ — ხედავთ რას ამბობს ლომების მოუთვინიერებელი კლოდ ლე როი?

არა, აფრიკელები ისეთი ხალხია მათგან ხიფათს ნადღად უნდა ელოდო, ასე რომ, „სკუადრა აძურა“, შენ დიდი სიფრთხილედ გამართებს.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

იტალია: ბალიუჯი, კოსტაკურტა, მალდინი, ნესტა, კანავარო, დი ლივიო, ალბერტინი, დი მატეო, დინო ბაჯო, ვიერი, რობერტო ბაჯო ან დელ პიერო.
კამერუნი: სონგო, სონგო, კალა, ნჯანგა, ვომბე, ლალუმბე ან ანგიბედო, მზომა, სიმო, ნდო, იბუა, ოამბ ბოკი

ლუკა გოდუაძე

სა-სა ტონის წინააღმდეგ

წინა საჩემპიონატო კვირის გმირი ნამდვილად იყო ჩილეს ნაკრები, რომელიც მშვენივრად ეთამაშა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ იტალიელებს და სამი ქულა მხოლოდ დასანანი პენალტის გამო დაკარგა.

წინა კვირის ნამდვილი გმირი იყო ჩილელთა მეგობარ მარსელო სალასი, რომელმაც ორი ბურთი გაუტანა ჯანლუკა პალიუკას და ამ დუბლით ჩემპიონატის ბომბარდირთა ახლადშემდგარ ცხრილს მოექცა სათავეში.

ამ ცხრილში თავისი ადგილი უჭირავს ავსტრიელ თავდამსხმელ ტონი პო-

ლსტერსაც, რომელმაც კამერუნელებთან მატჩში ბოლო წუთს აშოვნინა ქულა თავის გუნდს.

დღეს რომ სენტ ეტიენის „ფორუა გიშარის“ ტერასები შეივსება, ქომაგები სწორედ ამ ორი კაცის იმედს იქნებიან. თუმცა, ჩილელ გულშემატკივრებს გასულ კვირაში გვარიანი საწერიულო მიეცათ. იტალიასთან სასახლოდ ჩატარებული მატჩის შემდეგ ცნობილი შეიქნა, რომი მარსელო სალასი, კაცი მეტსახელად „მატადორი“, თავის გუნდთან ერთად არ ვარჯიშობს, მხარეთმშობე წამოგორებული და თუმცა ეს საქმე დიდად არ მოსწონს, სხვა გამოსავალი არა აქვს.

გუშინდლად, საქმე ისე იყო, რომ სალასის სენტ ეტიენში გამოჩენისა არაფერ არაფერი უწყობდა. იტალიელებთან მატჩში მიღებული ტრუმის სერიოზულობა-არასერიოზულობის ამბავი საგულდაგულოდ იმალეობოდა. გუშინ დილით კი მედიას წარუდგა ჩილეს ნაკრების ექიმი ეუხენიო ვალდეკანტონი და სალასის გამო ილაპარკა.

მას თურმე მართლაც არ უვარჯიშია გუნდთან ერთად და გუშინაც შორიანდოლიან უშვრდა თანაგუნდელთა წევრობას. შორიანდოლი მსუბუქად მორბენალი სალასი თავის მართლაც არ

უვარჯიშოა გუნდთან ერთად და გუშინაც შორიანდოლიან უშვრდა თანაგუნდელთა წევრობას. შორიანდოლი მსუბუქად მორბენალი სალასი თავის მართლაც არ უვარჯიშოა გუნდთან ერთად და გუშინაც შორიანდოლიან უშვრდა თანაგუნდელთა წევრობას. შორიანდოლი მსუბუქად მორბენალი სალასი თავის მართლაც არ უვარჯიშოა გუნდთან ერთად და გუშინაც შორიანდოლიან უშვრდა თანაგუნდელთა წევრობას.

ზეკულტურაში არც კი ჩართულა. დოქტორ ეუხენიოს სიტყვით, მარსელო ასე იმიტომ ირჯებოდა, რომ მისი ზედმეტად დატვირთვა მიზანშეწონილი არ იყო და ჩილელთა მთავარი იმედი სადღეისოდ ბურთის კენწვლით ემზადებოდა.

სალასს ტრავმა პარასკევს მიუღია ვარჯიშზე, მაგრამ სადღეისოდ ყველაფერი წესრიგში აქვს. თუმცა, რას ცრუობს და რას მართლად ჭრის ჩილელთა ექიმი, ამ საღამოს გაირკვევა. უსალასოდ ჩილეს ნაკრები ბევრი არაფერია და ისიც არაა გამორიცხული, რომ მეგობრულ მოედანზე გამოსვლისას არცთუ მთლად მოშუშებული იყოს.

სამაგიეროდ სრულიად საღია ჩილელთა კაპიტანი, ევროპაში „ივანე მრისხანედ“, ჩილეში კი „კონდორად“ წოდებული ივანე სამორანო.

მოკლედ, დღეს კიდევ ერთხელ ვიხილავთ სა-სას და ეგებ დღესაც ვიხილოთ დუბლი. დღევანდელ თამაშს ჩილელთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თუ სამხრეთამერიკელები მოიგებენ, ცალფერს მერვედფინალში ჩადგამენ. მაგრამ ავსტრიელებიც ხომ ასეთსავე დღეში არიან? თანაც, ჯგუფური ტურნირის ბოლო თამაშში ისინი იტალიელებს ხედავან. ამიტომ სამი ქულა, სწორედ რომ დახატავდა პერბერტ პროხასკას გუნდს.

ავსტრიელთა ბანაკში სიმშვიდეა, დაშვებულიც არაფერია.

ლიბერო ვოლფგანგ ფაერზინგერი ფეხს უწიოდა და ახლა ისიც ასე პროცენტით მზადაა. პროხასკას ბევრი მარჩიელობა არ მოუწევს დღევანდელი თამაშისათვის ტაქტიკური გეგმის შესადგენად. მისთვის რომ მთავარი თავისთქივლი სა-სა იქნება, ფაქტია. ჩილელთა მწვრთნელი ნელსონ აკოსტა არც მალავს თავის სათამაშო გეგმებს:

„ჩვენი ტაქტიკა ისეთივე იქნება, როგორც იტალიელებთან მატჩში. ორი თავდამსხმელით ვითამაშებთ და ისინი ბევრს იმბოვებენ.“

ტონი პოლსტერი, რომელიც დღეს თავის სარეკორდო 93-ე მატჩს ითამაშებს ავსტრიელთა ნაკრებში, ჯგუფის ფაფორიტად სწორედ რომ ჩილელებს მიიჩნევს „იტალიელებთან მათი თამაშის შემდეგ ეს საკმაოდ არ უნდა იყოს, ამიტომ ძალიან რთული თამაში მოგველის.“

თავის მხრივ აკოსტაც უფროთხის ავსტრიელებს.



ვასტიჩმა ეგებ არც ითამაშოს, ტონი პოლსტერი (19) კი 93-ედ გამოვა ნაყრების შემადგენლობაში

ჩილელთა მწვრთნელი მიჩნევის, რომ ავსტრიელებმა ბევრად უკეთესად ითამაშეს კამერუნელთა წინააღმდეგ, ვიდრე ჩემპიონატისწინა ამხანაგურ თამაშებში, რომლებიც აკოსტას ვიდეოზე უნახავს.

„კარგად ორგანიზებული გუნდია, მისგან ყველაფერს უნდა ელოდო. რაც მთავარია, თანდათან აუშჯობესებენ თამაშს“ — ამბობს ჩილელი.

პროხასკას კი ძალიან მოწონებია აკოსტას გუნდის თამაში იტალიელთა წინააღმდეგ. „საკმარისი არაა რომ ჩილელებს ორთაბრძოლები გაუმართო. მთავარია, მათ ინიციატივა წაართვა. მიანია მას — „ჩვენ იმგვარად უნდა შევაიწყოთ ისინი, რომ შუა მოედანი წაგვართვათ.“

როგორც ამბობენ, პროხასკა ძალიან ფრთხილად ეკიდება დღევანდელ თამაშს და გამორიცხული სულაც არ არის, რომ მოედანზე ერთადერთი ნამდვილი თავდასხმელი — პოლსტერი გამოეყვანოს. თუ ასე არ მოხდა და ავსტრიელმა მაინც გაბედა ორი თავდამსხმელით თამაში, მრავალნადა ტონის მხარს გრაცის „შტურმის“ რომელიმე ფორვარდი, ივიცა ვასტირი, ან მარიო ჰასი დაუშვებენ.

მოკლედ, თამაში პრინციპული და მნიშვნელოვანია. რამდენად სანახაობრივი იქნება, ძნელი სათქმელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მოედანზე ორი დიდებული ჩილელი და ერთი ცნობილი ავსტრიელი მეგობრე იქნებიან. ეს კი თავის თავად ნიშნავს იმას, რომ გოლები იქნება, რადგან ზედზედ მეორე ფრე არცთუ მომხიბლავი პერსპექტივაა ორივე გუნდისთვის.

სწორედ ამიტომ, სენტ ეტიენში საინტერესო ფეხბურთი იქნება. რაც შეეხება დინესა და კლასზე საუბარს, ნუ ვიჭებთ მკაცრნი. მსოფლიოს სულ ხუთივესი დიდი გუნდი ჰყავს. ამჯერად კი ის ვიკმაროთ, რომ რამდენიმე დიდებული ფეხბურთელი შეგებრძოლება ერთმანეთს.

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

ავსტრია: კონსელი, ფაერზინგერი, შოტელი, პფეფერი, ჩერნი, კუხბაუერი, მილი, პუაიფენბერგერი, ველტი, პერცოგო, პოლსტერი.
ჩილე: ტაპია, ფუნტესი, ვილაროელი, მარგასი, რეიხისი, როხასი, ავუნია, პარაგუსი, ესტი, სამორანო, სალასი

ირაკლი გამყრელიძე



თავდაპირველად

მავანთა გამო საქმეს ისეთი პირი უჩანს, ფეხბურთი ლამისაა მეცნიერებად იქცეს. მწვრთნელები უმეტესწილად შედეგზე ფიქრობენ და ვერ ამჩნევენ, რომ ხალხის სიამოვნებისთვის მოგონილი ფეხბურთი მკაცრ ჩარჩოებში ექცევა. უმეტესობისთვის შედეგია მთავარი, ხოლო გუნდი როგორ ითამაშებს, ეს უკვე აღარ აინტერესებს. მზადაა, გამარჯვებას ყველაფერი შესწიროს.

აგერ უკვე ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის პირველი წრე გაივლია და ბევრ გუნდში ნათლად გამოჩნდა, რომ მწვრთნელები საკადრო პოლიტიკაში შეცდნენ. ფაქტია, რომ ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრების მწვრთნელთა არასწორი გადაწყვეტილებების შედეგად მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩნენ, თავიანთ ნაკრებებს აშკარად დააკლდნენ. საფრანგეთში ბევრი ასეთი გუნდია, ხოლო რომელიც ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ახლა გვიანია მწვრთნელთა შეცდომებზე საუბარი რაც

სი კლასის ფეხბურთის აჩვენებენ. გააა ამერიკელებთან ასე არ იყო? ბრწყინვალედ ითამაშა კლინსმანმა, არანაკლებ ბირპოვმა. თავდასხმელთა ასეთი შეხმატებული თამაში კი მათ მაღალ კლასზე მიუთითებს.

არის შეხვედრები, როცა ერთი მეორეს შესამჩნევად სვლობს. იყო პერიოდი, კლინსმანს ნაკრებში თამაშები არ წაუვიდა, ერთი პირობა რამდენიმე შეხვედრაში გოლიც ვერ გაიტანა, მაგრამ ამით მას არაფერი დაკლებია. მიუხედავად იმისა, რომ თავდასხმელის უპირველეს მოვალეობას — გოლის შეგდებას ვერ ახერხებდა, ბრწყინვალე ასისტენტის როლში გვევლინებოდა. თანაგუნდელებს მისი უზუსტესი და დროული გადაცემების შედეგად ხშირად გაუტანიათ გოლები. ჩავარდნა ბირპოვსაც ჰქონია. ბოლოს და ბოლოს აღმართი დაღმართის გარეშე არ არსებობს — ხან მწვერვალისკენ წახვალ, ხან თაქვე დაეშვები, ეს ბუნებრივია.

თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შეხვედრა ავიღოთ. კლინსმანმა ამ მატჩში ბირპოვი შედარებით დაჩრდილა, მაგრამ ოლივერი რომ არ ყოფილიყო, ალბათ ვერც კლინსმანი ითამაშებდა ფრთაშესხმული. გერმანელთა თავდასხმის დუეტმა ამერიკელებთან ძლიერად ითამაშა, თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ამ ჩემპიონატზე სხვა ფორვარდთა წყვილებს მათ დარად არ უბურთავიათ.

— ფოტოსის გუნდმა კარგად ითამაშა. მართალია, იყო ხარვეზები, რასაც ვერანაირი ძალისხმევის შედეგად ვერ აღმოფხვრი, მაგრამ ნაკლებად გუნდებზე მეტი კარგი დავინახეთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია წინააღმდეგობა ძლიერი თამაშში. იურგენმა დაამტკიცა, რომ კვლავაც უმაღლესი კლასის თავდასხმელია. ოლივერის სახით კი გერმანიას ნამდვილი

სუპერფორვარდი ჰყავს. არ გადავწყარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამერიკელებთან ისინი ერთ-ერთი საუკეთესო გუნდები იყვნენ. იმედია, ყველა თამაშში ასე თუ იქნება — ბერლინის „ბერლინერ ცაიტუნგი“ კმაყოფილი გახლდათ გუნდის თამაშით. განსაკუთრებით კი, ფორვარდთა მოქმედებით. ბერლინელების დარად სხვა გერმანული გაზეთებიც კმაყოფილებას გამოხატავენ. სხვაგვარად არც შეიძლებაო.

მაინც რა გოლი გაიტანა კლინსმანმა, ან რა გადაცემა გაუკეთა ბირპოვმა? — ამ შეტყვის ცეპრა გულშემატკივარს არასდროს მოებრდებოდა. პასის და კარში დარტყმის მომენტშიც ნათლად აისახა ის უპირატესობა, რაც ბირპოვს და კლინსმანს ამერიკელებთან შედარებით დიდი გამოცდილებით ზარზე ჰქონდათ მოპოვებული — მაშინ, როცა ამერიკელთა კაპიტანი ტომ ლული თავდასხმელისგან თავურ დარტყმას ელოდა და საპაერო ბრძოლისთვისაც განეწყო, კლინსმანმა სულ სხვა რამ მოიმოქმედა, ისეთი, მხოლოდ გამორჩეულ მოთამაშეებს რომ ძალუძო — ჯერ კიდევ პაერში მყოფმა მიიღო ოლივერის გადაცემა, მეკრდით ოდნავ წინ წაიგდო ბურთი, მერე კი მარჯვენა მოიქნია და — 2:0. ეს გოლი თუ ულამაზესი არაა, აქამდე გატანილთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო რომ არის, ამას თქმა არ უნდა.

— ჩვენ შესანიშნავად ვუგებთ ერთმანეთს. თითქმის სამი წელია, მხარდამხარე ვითამაშებთ. თავდასხმაში ბევრი პარტნიორი მყოფია, ზოგთან გამძაბულობა, ზოგთან — არა. ყოფილან ისეთებიც, რომელთა გვერდითაც საუკეთესო თამაშებს ვატარებდით. ოლივერი სწორედ ერთ-ერთი მათგანია. ყოფილა შემთხვევები, გოლი ვერ გამიტანია, სამაგიეროდ ოლივერისთვის ასისტენტობა გამიწვია. ყოველთვის ასეა — ხან მე, ხან — ის. სულ უკეთესია, თუ ორივე

შესმატებული

ერთად — გუშინ იურგენ კლინსმანმა ამერიკელებთან მატჩზე მსჯელობა სწორედ ასე დაასრულა. სხვათა შორის, კეისი კელერის კარში შეგდებადი ბურთის შედეგად იგი მე-17 ფეხბურთელი შეიქნა, რომელსაც სამი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაუტანია გოლი. მთლიანობაში მან უპირველეს საფეხბურთო ტურნირზე გუშინწინდელი გოლის ჩათვლით 9 ბურთი გაიტანა, ასე რომ, არაა გამორიცხული, საფრანგეთში შედეგიანი თამაშის წყალობით მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში უპირველესი ბომბარდირის, თანამემამულე გერდ მიულერის მიღწევა — 14 გოლი გაიმეოროს, ან სულაც დაამსოს.

— მაშინ, როდესაც იურგენი მსოფლიოში ცნობილი ხდებოდა, მე ჭაბუკი ვახლდით. ქვეყნის ნაკრებში თამაშზე მხოლოდ ვოცნობდით, მართალია, ყმაწვილკაცობისას რუდი ფიოლერის მხარდამხარ თამაში მინდოდა, მაგრამ ახლა, როცა კლინსმანის მეწყვილე ვარ, თავს ცუდად სულაც არ ვგრძნობ. პირიქით, ეს შესანიშნავია. რამდენიმე წლის წინ ამაზე მხოლოდ ოცნება შემეძლო. დღეს კი ეს რეალობაა — სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირმა ოლივერ ბირპოვმა გუშინ ჟურნალისტებს ბავშვობის ოცნებები გაანდო.

ფეხბურთის ზეიმის დასრულებას ბერი უკლია. ასე რომ, გერმანელ თავდასხმელთა ნამდვილ ფასს მაქსიმუმ ერთ თვეში შეიტყობთ. ისე კი, პირველი მატჩი სკვალაობაზე მათ ნამდვილად კარგი შთაბეჭდილება დატოვებს.

SHE - SHE

ალან შირერი და ტედი შერინგემი — ორი თავდასხმელი, რომელთა გარეშეც გლენ ჰოდლის და მისი წინამორბედის ტერი ვენიბლზის ინგლისის ნაკრების წარმოდგენა არ შეიძლება. ფეხბურთელები, რომლებმაც შეხმატებული მოქმედებით მეტი ხიბლი შემატეს გუნდს, მოთამაშენი, რომელთა იმედი აქვს მთელ ინგლისს, თავდასხმელები, რომელნიც ყველა მცველთათვის ერთობ სასიფათო არიან.

ინგლისის ნაკრების საუკუნეზე მეტ ხნაა ისტორიაში შირერ-შერინგემის წყვილი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანია, არადა, არც ერთი მათგანი არ მიეკუთვნება იმ ფეხბურთელთა კატეგორიას, რომელთა მეურვეობა მცველებს უჭირთ. მათი გაუგებრობა ნორმალური მცველისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ საკმარისია, მან წამით მოადუნოს ყურადღება, რომ ერთ-ერთი აუცილებლად გაიტანს.

დავინიოთ 15 თვით უკან. 1997 წლის 30 აპრილი. ლონდონი. სახელგანთქმული სტადიონი „უემბლი“ კიდევ ერთხელ, ვინ მოსთვლის მერამდენედ, გაივსო. ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს მასპინძლობს. იქაურებს უცილობელი გამარჯვება სჭირდებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთის საგზურს შეიძლება ვერ დაეუფლონ. ცხადია, გლენ ჰოდლისგან დამოიდგინი პირველი წუთებიდანვე გეიტკვერ, თუმცა ანგარიშის გახსნას არა და არ დადგა საშველი. ვერც ტედი შერინგემი და ვერც შირერი შელანის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ალან შირერი ვერაფერს აკეთებენ. ინგლისელები აჯღაღნენ, უხეშობაც იწყეს, მესვენებამდელ ათ წუთში კი თამაშის ტემპი

საგრძნობლად გაზარდეს. აქ კი ჩვენი ნაკრები აირია, მცველებიც ზონების გადაკეტვას ვერ ასწრებენ. თავდასხმელებს კარგავენ და ზოიბის კარში გოლიც გადის. თავისუფლებანაგრძნობმა შირერმა მარცხენა ფლანგზე გაინავარდა, საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი არეულ ქართულ დაცვას შერინგემმა საშინელი ძალის ლახვარი ჩასცა — მის მიერ „უემბლიზე“ თავით გატანილი გოლის ექვ, ჩვენ, ქართველმა ქომაგებმა, თბილისში გავგვირეთ. ცხადია, ტელევიზორის წყალობით. იმ თამაშში გოლი შირერმაც გაიტანა. ინგლისმა 2:0 დაამარცხა საქართველო.

— დარწმუნებული ვარ, პოდლი ჩვენი წინააღმდეგ შირერ-შერინგემის წყვილს ათამაშებს. მათ ფეხბურთის კარგად ვიცნობ, ავკარგიც შესწავლილი მაქვს. ასე რომ, არა მგონია, ინგლისელ თავდასხმელებთან ბრძოლა გაუვიჭირდეს — მატჩის წინა დღეს ტუნისელთა პოლინელი მწვრთნელი ჰენრიკ კასპერჩაკი კარგ გუნებაზე გახლდათ. მას სჯეროდა, რომ შირერისა და შერინგემის გაუგებრობა ფეხბურთის სიჭრელად იყო. მეორე დღეს გამოჩნდა, რომ საქმე სხვაგვარად იყო — შირერმა მაინც გამოაჩინა ტუნისელთა კარში შემავალი ბილიკი და ბურთიც სწორედ იმ ზუას გაუყენა. შერინგემმა კი, მიუხედავად იმისა, რომ ვერ დალაშქრა ელ კაერის კარი, აფრიკელთა მცველები გვარიანად დაღალა.

შირერმა თავისი მაინც გაიტანა — ის წამი, გამარჯვებულს რომ არკვევს, სათანადოდ გამოიყენა და ტუნისის თავისი ადგილი მიუჩინა.

— იგი შესანიშნავი თავდასხმელია. ბრწყინვალე და ძალიან ძველმოღური. თანამედროვე ფეხბურთში მისი სტილის ფორვარდები აღარ არიან, იგი რაღაც 50-60-იანი წლების თავდასხმელებს მასსენებს. მიუხედავად თამაშის უცნაური სტილისა, შირერი დღესდღეობით ერთ-ერთი უძლიერესი მსოფლიოში. ყოველ შემთხვევაში, ეს ასე მიმაჩნია — ეს სიტყვები ლეგენდარული 50-იანი წლების „რეალის“ ასევე ლეგენდარულ ცენტრფორვარდ ალფრედო დი სტეფანოს ეკუთვნის.

მნელია არ დაეთანხმო დი სტეფანოს. შირერი მართლაც უცნაურ ფეხბურთის ფეხბურთს თამაშობს. თითქმის არც ისე სასიფათოა, მაგრამ... გოლისგან გამოწვეულ სისხარულს ზომ მეტად ლამაზად გამოხატავს — აღმართული მარჯვენა ხელი, აი, ყველაფერიც ის, რასაც შირერი გოლის გატანისას აკეთებს. ვფიქრობ, ეს ბუნებრივი რეაქციაა გაცილებით ლამაზი და გასაგები, ვიდრე კუთხურის აღმებთან ხალხური ფოლკლორული

შირერი მართლაც უცნაურ ფეხბურთის ფეხბურთს თამაშობს. თითქმის არც ისე სასიფათოა, მაგრამ... გოლისგან გამოწვეულ სისხარულს ზომ მეტად ლამაზად გამოხატავს — აღმართული მარჯვენა ხელი, აი, ყველაფერიც ის, რასაც შირერი გოლის გატანისას აკეთებს. ვფიქრობ, ეს ბუნებრივი რეაქციაა გაცილებით ლამაზი და გასაგები, ვიდრე კუთხურის აღმებთან ხალხური ფოლკლორული



ჩილელებს მარსელო სალასის (11) და ივან სამორანოს იმედი აქვთ. ვნახოთ

რის ჩვენება ანაც მოედანზე ტანვარჯიშის ილეთების დემონსტრირება. „შირერი-შერინგემი — ინგლისური ფეხბურთის დღევანდლობა და ალბათ უახლოესი მომავალიც. ფეხბურთელები, ურომლისდაც ინგლისის ნაკრები ვერ იქნებოდა ის გუნდი, რაც არის.

ინგლისელებს წინ ორი თამაში აქვთ — რუმინეთთან და კოლუმბიასთან. თუ ალბიონელთა ფორვარდებმა ტუნისელებთან შედარებით დაზოგეს ძალები, ათთან საქმე სხვაგვარად იქნება. ეგვიპტის ექსსოციალისტებთან და სამხრეთაფრიკელებთან გამარჯვება თავდასხმელთა ნამდვილი ძალა.

მარსელო და ივან

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ჩილემ კარგად დაიწყო, თუმცა ეკვატორის გადაღაცა ძალიან გაუჭირდა. ერთი პერიოდით თითქმის დამარცხდებოდა კიდევ საფრანგეთის საგზურს, მაგრამ მსხველდრი თავდასხმელი მოკვლინა, უფრო სწორედ ფორვარდთა წყვილი, რომლებმაც განაპირობეს კიდევ გუნდის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება. ივან სამორანო და მარსელო სალასმა ჩილელებს თითქმის 35-წლიანი ოცნება აუსრულეს — ქვეყანა უდიდეს საფეხბურთო ტურნირში ჩააბეს.

— მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი მთავარი იარაღი სამორანო — სალასის დუეტია იქნება — არ ძალაუფდა თავისი კოზირებს ჩილელთა თავკაცი ნელსონ აკოსტა.

რამდენად მართალი აღმოჩნდა სტა, ეს იტალიელებმა საკუთარ თავზე უკვე გამოცხადეს — მარსელო სალასმა პალიუკას კარში ორი ძალიან საჭირო გოლი შეაგდო, ივან სამორანომ კი მცველები გვარიანად გააწვამა.

სალასი და სამორანო — ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი წყვილია. მარტო ის რად დირს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩილელთა 32 გოლიდან 23 (!) სწორედ ამ ორმა გაიტანა. თან როცა ბოლო შეხვედრებში სამორანომ ვერ ითამაშა, ეულად მყოფმა სალასმა ლიდეის ფუნქციები იკისრა და გამარჯვება განაპირობა.

საფრანგეთში მარსელო სალასი ბომბარდირობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლება. ძლიერად თამაშობს ჩილეს ნაკრებიც საკმაოდ სასიფათოა, თან ფეხბურთელს, რომელმაც იტალიას ორი გოლი გაუტანა, საეჭვოა, ავსტრიის, თუნდაც კამერუნის კარის დალაშქრა გაუჭირდეს.

ეს ორი ჩილეელი ალბათ ბევრ გუნდს გაამწარებს, თუმცა ისიც საეჭვოა, ჩილეს ნაკრები მეთხედფინალში გავიდეს რაც არ უნდა იყოს, მსოფლიოს ჩემპიონატი გუნდური ტურნირია. ორი მოთამაშე კი, თუნდაც უძლიერესი, რომელც ნორმალურ ფეხბურთელთან ვერაფერს გახდება.



იურგენ კლინსმანი ოლივერ ბირპოვს შეტემაში. ზოგჯერ პირიქითაც ხდება

მოხდა, მოხდა, წარსულის შეცდომებს ვეღარ გამოასწორებ. გულს მხოლოდ ის ახარებს, რომ რამდენიმე ნაკრებმა, უფრო სწორედ კი მწვრთნელებმა პირველ ადგილზე გუნდის ინტერესები დააყენეს და არა ამა თუ იმ ფეხბურთელთან გატვირთვით პირადი ურთიერთობები, შესაბამისად სამსოფლიოს ჩემპიონატო ნაკრებში ლიდერები ჩართეს და შედეგად ქომაგები სანახაბო-რივი თამაში გაახარეს.

გუშინწინ პირველი წრე ჩემპიონობის ორმა კანდიდატმა — ინგლისმა და გერმანიამ დაასრულეს. ორივემ ისე ითამაშა, სხვა ფეხბურთელები პირადი ურთიერთობები, შესაბამისად სამსოფლიოს ჩემპიონატო ნაკრებში ლიდერები ჩართეს და შედეგად ქომაგები სანახაბო-რივი თამაში გაახარეს.

რომ გაიმარჯვო, გოლი უნდა გაიტანო, გოლი რომ შეაგდო, შეტევა უნდა შეეცდოს. ინგლისმა და გერმანიამ პირველი შეხვედრები ერთნაირი ანგარიშით დაასრულეს — 2:0. ვერ იტყვი, ისინი თავქუდმოგლეჯილი უტევენენ მეტოქეს, მაგრამ იმის თქმაც მერეხელობა იქნება, დაცვაში იდგნენ, სათანადო მომენტს ელოდნენ.

ინგლისმაც და გერმანიამაც თავდასხმელთა ძლიერი თამაშის წყალობით მოიგო, იმ ხალხის შეწყენით, რომლებიც რაც უნდა ცუდად ირჯებოდნენ, მუდამ სასიფათოდ ითვლებიან.

კლინსი და ოლივერი

ბოლო ორი წელია, ბუნდესნაკრებში თავდასხმის ბრწყინვალე წყვილი შეიქმნა — იურგენ კლინსმანი და ოლივერ ბირპოვი შესანიშნავად უეებენ ერთმანეთს, მეტიც ბრწყინვალედ. მათ შორის ასაკში განსხვავება თითქმის ათი წელია. გერმანელთა კაპიტანი გამოცდილებითაც აშკარად ჯანის ახალგაზრდა პარტნიორს, თუმცა ეს თამაშისას სულაც არ იგრძნობა. მოედანზე ორივე ფორვარდი თანაბარი, მაგრამ ამავე დროს უმაღლეს



შერინგემი (10) და შირერი — ამით ყველაფერი ძალუძო

იბან აბას შააბინა, აბან სხვას, სხვამ მას და მანაც დაარტყა

ბელგიელი ლორენცო სტალენსი გაქცევილი ფიგურა. ხომ გახსოვთ, მისმა და პოლანდიელი პატრიკ კლუივერტის წაქცევაზე (ალბათ, უფრო კლუივერტის ხელგონებამ) პირველი ტურის შეხვედრაში წითელი ბარათი და პოლანდიელის ორთამაშაინი დისკვალიფიკაცია გამოიწვია.

„გონებ, ინციდენტი ისე სერიოზული არ იყო, რომ კლუივერტისთვის ორთამაშაინი დისკვალიფიკაცია მიეცათ. ალბათ, მხოლოდ გაძევება, დისკვალიფიკაციის გარეშე, სრულიად საკმარისი იქნებოდა“ — თქვა სტალენსმა.

სტალენსი, მოგვსენებთ ფეხბურთელია და გულშემატკივრებისა და ჟურნალისტებისგან განსხვავებით, ბევრი წესი არ იცის. მას განუბრტეს, რომ მარტო გაძევება არ არსებობს. ნებისმიერ გაძევებას სულ სერიოზული ორთამაშაინი დისკვალიფიკაცია შეესაბამება.

„მამინ კლუივერტი ორთამაშაინი დისკვალიფიკაციას იმსახურებდა“ — უპასუხა ბელგიელმა. გაეცინათ: ბელგია-პოლანდიის შეხვედრაში, რომელიც 0:0 დამთავრდა, თამაშის ბოლომდე 11 წუთით აღერ, კლუივერტმა სტალენსს ყბაში იდაყვი უთავაზა. სტალენსი თეატრალურად წაიქცა (რომელი მაიკ ტაიზონი კლუივერტია, კაცი ერთი დარტყმით დასცეს), მსაჯმა კი წითელი ბარათი ააფრიალა.

მოგვიანებით სტალენსმა აღიარა, ის ებნობოდა გააზრდად, მაგრამ დასძინა: „გონებ, ჩემს ადვილას ყველა ასევე იზამდა“.

ბელგიელს ჰკითხეს მომავალშიც თუ მოიქცევი ასეო. მან ისევ კლუივერტზე უპასუხა:

„იქნებ მთლად სწორედ არც მოვიქცევი, მაგრამ კლუივერტმა დამარტყა. ხომ შეიძლება მისი იდაყვი თავში მომხვედროდა? დარტყმა თავსა და მხარს შორის მოუვიდა, მაგრამ ძალიან ძლიერად ჰქონდა მოქნილი“.

კლუივერტი ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა დასაჯა. თავის გასამართლებლად პოლანდიელმა თქვა, სტალენსი შეურაცხყოფას მაცემდებო.

თავის მხრივ სტალენსმა განაცხადა, რომ მისი გინება მხოლოდ და მხოლოდ გინების პასუხი იყო, თანაც დასძინა, რომ გინებაში რასისტული არაფერი არაა.

„არა, არა, რასისტული არაფერი მოქცეას“ — ხელები გაასავსა ბრიუ-

გეს 33 წლის მოთამაშემ — „მან რაღაც მიზნა და მეც სიტყვით ვუპასუხე. ლანძღვა პირველმა კლუივერტმა დაიწყო“.

ლანძღვა-გინების ამბავს სტალენსი ლიონის ჩრდილოეთით, სასტუმრო „მონტიონი“ ყვებოდა.

„კლუივერტს რომ არ გავეღიანებე, მეც არ ვეტყვიდი იმას, რაც ვუთხარი“.

კლუივერტმა თამაშის მერე სტალენსის საქციელს წელსკეპს დარტყმა უწიდა.

შეგახსენებთ, რომ პოლანდიელი ფორვარდი 1996 წელს გასამართლეს მანქანით ადამიანის მოკვლისათვის (ავტოსაგზაო შემთხვევა) და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ 240 საათიანი შრომა მიუსაჯეს, გასული წლის დეკემბერში კი მასა და მის სამ მეგობარს გაუბატონებდა ედებოდათ ბრალად, მაგრამ სამხილი არ აღმოჩნდა საკმარისი.

სტალენსის თქმით, კლუივერტი მასთან შეხლა-შემოხლადა უკვე გაღიზიანებული იყო, რადგან მეორე ბელგიელმა მცველმა მაიკ ვერსტრატენმა შეაგინა.

„მარტო ჩემზე არ არის საქმე, მაიკლიც გარეულია. ერთ ეპიზოდში მოულოდნელი ამბები დატრიალდა და მეც ვეღარ მოვიტონე. ძალიან მწყინს რაც მოხდა, მაგრამ რა გაეწყობა... მას უნდა გაეტანა, მეტი მისთვის ხელი უნდა შემეშალა“ — თქვა სტალენსმა.

ამასობაში კი ბელგიელთა სამმა ფეხბურთელმა მცირე ტრაგედია მიიღო, მაგრამ როგორც ექიმები ამბობენ, მეორე თამაშისთვის ყველაფერი რიგზე იქნება.

„ჩემი ფეხბურთელმა პოლანდიელთან ნათამაშევი 0:0-ით კმაყოფილი, მაგრამ გადილილინი არიან“ — თქვა გუნდის მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა.

მოსალოდნელია, რომ მეორე თამაშში მონაწილეობას მიიღებს თაქარ-მოშუშებული გორდან ვილფინიცი.

„მაბათისთვის ვიღოვინი მზად იქნება. გამოჯანმრთელების პროცესი კარგად მიდის“ — ამბობს ექიმი მარკ გუსენსი.

მექსიკელებთან ლიკენსი ძალიან ძნელ შეხვედრას ელის, მაგრამ პოლანდიელებთან შეხვედრის მსგავსად დაცვაში გამაგრებას არ აპირებს.

„ერთადერთი გზა სამი ქულისთვის ბრძოლაა. ერთის მოპოვება აღარ გვაწყობს“ — თქვა ლიკენსმა — „თუ მექსიკასაც სამი ქულა უნდა, ძალიან კარგი იქნება, ლამაზი თამაში გამოგვივა“.

მექსიკის ნაკრებმა წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი კარგად დაიწყო. გუნდმა კორეელებთან ცუდად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ თამაშში გარდატეხა შეიტანა და საბრალო აზიელები დასაჯა. ტაბლოზე დაფიქსირებული საბოლოო ანგარიში 3:1 სულაც არ ასახავს იმ სიტუაციას, რომელიც შაბათს ლიონის სტადიონზე შეიქმნა. მექსიკელები მეორე ტაიმის განმავლობაში ბატონობდნენ მოედანზე და კორეის უბადრუკი გუნდი იბაღას უნდა უმადლოდეს, თამაში მხოლოდ ორი ბურთით რომ წააგო.

მექსიკელები ევროპას ეპიკლუცებიან



ერნანდესის თამაშით ევროპული კლუბებიც მოიხიბლნენ

შთაბეჭდები გამარჯვების შემდეგ მექსიკაში უკვე ალაპარაკდნენ ზოგიერთი ფეხბურთელის ევროპაში შესაძლო გადასვლაზე. ყურადღების ცენტრში ძირითადად კორეელთა კარში ორი გოლის გამტანი ლუის ერთანდესია მოქცეული. ქერა თავდამსხმელი, ალბათ, წინააღმდეგი არ გახლავთ, მის ირგვლივ ატეხილი მითქმა-მოთქმა რომ ჩაცხრეს, და თუ რეალური შესაძლებლობა ექნა, მომავალი სეზონი დიდი საიმპოვნით გადაბარდება ბებერ კონტინენტზე.

— მე ყველგან დიდი საიმპოვნით ვითამაშებ, სადაც დამაბულია და საინტერესო მატჩები იმართება. მთავარია, თავად ჩემპიონატი იყოს მაღალი დონის, ხოლო კონკრეტულად რომელ კლუ-

ბში გადავალ, ამას არცთუ დიდი მნიშვნელობა აქვს — ამბობს „ელ მატადო-რი“ ერნანდესი, რომელმაც თავისი სხვანა ჩილელი მარსელო სალასის მსგავსად მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი პირველი მატჩი ორი მშვენიერი გოლით აღნიშნა. 75-ე წუთზე მექსიკელთა თავდასხმის იმედმა საჯარიმოში ჩაკიდებული ბურთი მოათვინიერა და მას ბაღში მიუჩინა ადგილი, ხოლო ცხრა წუთის შემდეგ საჯარიმო მოედნის მისადგომე-ბთან დაბალი დარტყმით ხელი მოუთავა კორეის ნაკრებს. გრძელთმიან ფო-

რი, რომელსაც ატეხილი ჯურჯარის მიუხედავად რომელიმე ევროპული კლუბისგან კონკრეტული შეთავაზება ჯერ არ მიუღია.

უნდა ითქვას, რომ ლუის ერნანდესი სულაც არ გახლავთ ერთადერთი მოთამაშე, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას ოკეანის გაღმა აპირებს. კლუბ „გვადალაჰარას“ მცველი კლავდიო სურაესიც ამ სურვილით არის შეპყრობილი, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა მასაც ვერ გაუბედავს:


— მექსიკაში კარგად გეხდებიან და საკმაოდ კომფორტულად ვცხოვრობ, მაგრამ ეს არ გახლავთ მთავარი მიზეზი იმისა, თუ რატომ რჩებიან ფეხბურთელები ამ ქვეყანაში. ჩემი აზრით, მთავარი ის არის, რომ თავად კლუბებს არ სურთ საუკეთესო მოთამაშეების დაკარგვა და აქედან გამომდინარე, უზარმაზარ თანხებს ითხოვენ მათში. ისეთი ვარსკვლავი კი, რომელთაც ევროპის რომელიმე გრანდი ზღაპრულ კონტრაქტის გაფორმებას ისურვებს, ჯერჯერობით მექსიკის ჩემპიონატში არ არის — ამბობს სურაესი. თუმცა არის კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც დიდ როლს თამაშობს ფეხბურთელების მექსიკიდან წასვლის შეფერხებაში. ამ ქვეყანას, ხომ არ გეცნობისა და ბრაზილიის ნაკრებებისგან განსხვავებით ისეთი საერთაშორისო რეპუტაცია არა აქვს, ევროპული კლუბების მატჩორენებზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გავლენა რომ იქონიოს. მექსიკის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე თერმეტჯერ უსაპრეზიო, მაგრამ დიდი შედეგისთვის არასდროს მიუღწევია, ორჯერ მეთხუთხედნაღერ ეტაზე გასვლას თუ არ ჩათვლით. მათგან დიდად წარმატებულ გამოსვლას არც ამაყად ვლის ვინე და სწორედ ამიტომ იყო სპეციალისტები მექსიკა — კორეის თამაშს ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე რომ შეხვდნენ. თუმცა თანამედროვე და მისი პარტნიორების თვალაზრით გუნდისადმი ყველა სიმათითი გამაწყა.

— ევროპაში უდიდესი საიმპოვნით გადავებარდებოდი, რადგან მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთის სწორედ იქ თამაშობენ. რაც შეეხება პუგო სანჩესს, იგი მართლაც შეუდარებელი იყო და ჩემი ქვეყნის ყველა დროის უდიდესი სპორტსმენი მამაჩნია. მაგრამ ჩვენ ვერ დავუვლოდებით იმ დროს, როცა მექსიკაში ლეგენდარულ მადრიდელზე უკეთესი შემსრულებელი გამოჩნდება. დღესდღეობით ევროპულ ჩემპიონატში არც თუ ურიგო ფეხბურთელები თამაშობენ, რომლებზეც, ჩემი აზრით, შეიძლება აქცენტის გაკეთება — ამბობს რამირის.

მექსიკური ფეხბურთის ერთ-ერთ ვეტერან რიკარდო პელაესს კი ცოტა არ იყოს ზედმეტი მოუვიდა:

— ევროპაში თამაში ყველა მექსიკელის ოცნებაა. ევროპული ნაკრების წევრთა უმეტესობასაც, ბუნებრივია, უმლიერეს საფეხბურთო ქვეყნებში ასპარეზობა სურს. ამიტომ საფრანგეთში ყოველ დონეს ვიხმართ, რათა ევროპული კლუბების მესვეურნი მოეხიბლოთ. ამის განაცხადი უკვე გაუკეთეთ და არც ჯგუფის დარჩენილ შეხვედრებში ვიქნებით მარანალები. ვფიქრობ, ჩვენ გვაკავს მოთამაშეები, რომელთაც არაფრის დამტკიცება არ სჭირდება ერნანდესი, ბლანკო, გარსია ასპე და რამირის ის ფეხბურთელები არიან, ვინც მსოფლიოს ნებისმიერ კლუბში უდიდესი წარმატებით ითამაშებდნენ.

ირაბალი ხმელში



მალე დენის ბერესამას წიგნის გვერდზე გადადება მოუწევს

დენის, უნე მოედანზე გალიან!

შაბათის პოლანდია კორეას ეთამაშება. თითქოს შაბათამდე ჯერ აღერა, მაგრამ როგორც ამბობენ, გუნდის მწვრთნელს გუს ჰილინკს ძირითადი შემადგენლობის მონახვაში უკვე შეეყვანილი ჰყავს ქვეყნის მთავარი ფორვარდი დენის ბერესამა.

„ოთხშაბათის დენისს ფრიალ დავტვირთავ, ხუთშაბათს კი შევხვდავ, დავაკვირდები. წინასწარი ვარაუდით, მან უნდა ითამაშოს“ — თქვა ჰილინკმა გუშინ, დილის გარეშის შემდეგ.

შეგახსენებთ, რომ ბერესამამ ტრავმის გამო ექვსი კვირა მოედანს მიღმა გაატარა, მაგრამ გასულ შაბათს ბელგიელებთან შეხვედრაში 25 წუთით მაინც შეიყვანეს მოედანზე. აქამდე ჰილინკი ამბობდა ჩემს საუკეთესო მოთამაშეს სრულ გამოჯანმრთელებამდე არ ვითამაშებ, ხოლო არ გადავყრიო.

საქმეში ჩეხლელთაგან ბევრი ფიქრობს, რომ ბერესამაში მთელი ძალით პლეი-ოფებიდან ათამაშდება.

„არსენალის“ თავდამსხმელი გამო-

ჯანმრთელების გზას ადგას, მაგრამ ორი ტაიმის სათამაშოდ ჯერ არ გახლავთ მზად. მისი მოედანზე შესვლის აუცილებლობა პატრიკ კლუივერტის წითელმა ბარათმა განაპირობა. კლუივერტი ჯგუფური ტურნირის დარჩენილ ორივე თამაშს გამოტოვებს და შესაბამისად, პოლანდიელებს თავდამსხმელი სჭირდებათ. როგორც იცით, კლუივერტმა წითელი ბარათი ბელგიელ ლორენცო სტალენსის წინააღმდეგ ხელგონებისთვის დაიმსახურა.

ორშაბათს ბერესამაში კარში დარტყმას აბუშავებდა, მერე კი თავად ილაპარაკა პრობლემების შესახებ:

„ოთხშაბათამდე მუხლანაურად ვიმუშავებ, ვიცი, რომ ნაკრებს ვჭირდები. კვირის ბოლოს კი ვნახო“.

ახლა, როდესაც ბერესამაში როგორც ჩანს, მოედანს დაუბრუნდება, ჰილინკს სხვა თავდამსხმელებს შორის არჩევანის საშუალება მიეცა. დენისთვის პოლანდიელთა ბანაკში არ იცნან, ვინ იქნება კორეელებთან შეხვედრაში მეორე

ფორვარდი, „ლიდის“ მოთამაშე ჯიმი ფლოიდ ჰასელბანკი, რომელმაც პირველ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, თუ „ნოტინგემ ფორესტის“ წვერი პიერ ვან პოილენი.

შეიძლება რონალდ დე ბურიც ვიზილით თავდასხმის ზაზში. როგორც ჰილინკი ამბობს, ამ ნახევარმცველს, „ი-აქსიდან“ რომ მიდის, ხუთ სხვადასხვა პოზიციაზე ხელუწოდება თამაში, მაგრამ თუ დე ბური შეტეგას მიეხმარება, მაშინ მის პოზიციაზე იქნება მოსაძებნი შემცველი.

ჯიმი ჰასელბანკს, მისიში ნაკრებში რომ გამოიძახეს, აკი თავდაცვ აღიარა, ფიქრადაც არ მოსულია მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში. მით უფრო გასაკვირი იყო მისი ბელგიასთან მოედანზე გასვლა. მწვრთნელმა განაცხადა, რომ ჯიმის ნაკრებში აყვანის მიზეზი ბოლო რამდენიმე კვირა გახლდათ. ამ პერიოდში ჰასელბანკმა ერთიორად გააუმჯობესა თამაში.

ბელგიასთან შეხვედრაში ჯიმის დიდად არ გაუბრწყინია, მაგრამ ორჯერ მაინც მოახერხა კარში დარტყმა.

მათ, ვისაც ლიდსელის თამაში არ მოეწონა, მეორე დღიდანვე დაიწყეს ჰილინკის მოთხოვნა.

ჰილინკმა ბელგიასთან თამაშზე თქვა, შანსები გვექონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. თანაც, მწვრთნელის აზრით, მსაჯმა საეჭვო თამაშარეები დაფიქსირა მისი გუნდის საწინააღმდეგოდ.

„ყოველი ორი ოფსაიდიდან ერთი არასწორად იყო შენიშნული“ — თქვა მან.

სწორედ ჰასელბანკი გახლავთ ერთ-ერთი, ვინც ბელგიელთა დაცვას გაუსწლტა, მაგრამ მსაჯმა შეაჩერებინა შეტევა ტელევიზორებზემც ცხადყვეს, რომ მსაჯმა შეცდომა დაუშვა.

ორშაბათს ვან პოილენი ბერესამას დარტყმებში ავარჯიშებდა, მაგრამ ჰილინკმა ექვსი იქვე გააქარწყლა:

„ცხადია, ვან პოილენი იმ თავდამსხმელთაგანია, ვინც შეიძლება თამაშის, მაგრამ ამ ვარჯიშს კულს ნუ გამოვბამთ. მაგალითად, მე ანდრე იოიერს ვარჯიშზე მარჯვნიდან ჩაწოდება დავაგულე. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი კორეასთან მოედანზე იქნება“.



ახალნასწავლი ფეხბურთი

პირველი ტური ჩატავდა და ალაღად თქვი, მოგწონთ ეს ჩემპიონატი?

რა თქმა უნდა. არის ბრძოლა, არ არის უსასურთი ფრეები, პატარებს ბევრი რამ უსწავლიათ და ა.შ.

მე თუ შეითხვით, ამ ჩემპიონატის მთავარი პრობლემა ისაა, რომ მასში ოცდაათობით გუნდი მონაწილეობს. ჩემმა ერთმა მეგობარმა მოსწრებულად იხუმრა, ეგ მსოფლიო ჩემპიონატი კი არა, ჩვენებური კერძო უნივერსიტეტი, ვინც განცხადება შეიტანა, ყველა მიუღიანო.

მართლაც ასეა, ვისაც არ დაზარებია, ყველა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასული, ამომავალი მზის კუნძულის (იგულისხმება იაპონია) ფეხბურთელებით დაწყებული, მარადიული მზის კუნძულის (იგულისხმება იამაიკა) ფეხბურთელებით დამთავრებული.

მსოფლიო ფეხბურთის განვითარების შესახებ რომ ჩამოვარდება ლაპარაკი, აუცილებლად გაიხსენებენ ხოლმე ჟოაო აველანჟის დამსახურებებს, ამ კაცმა ფეხბურთი მსოფლიოც ყოველ კიდეში ახარა. სეუ ჟოაო მართლაც გააფართოვა ბურთის გარეცხვის არეალი და მსოფლიო ჩემპიონატისკენ ისეთ ქვეყნებს გაუხსნა გზა, რომლებსაც არც კი დაესწრებოდათ, რომ ახელა შევიდნენ თამაშის ღირსნი შეიქნებოდნენ.

ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგი რამაა, მაგრამ, მეორე მხრივ ოცდაათობით გუნდი გუნდი ამკარად ნამეტანია.

რომელი იყო ამ ჩემპიონატის პირველი ტურის ყველაზე პოპულარული ანგარიში? ეს ანგარიში იყო 1:0. 1:0-ს მოსდევს 2:0 და 3:1.

1:0 დამარცხეს დანიელებმა საუდულები, არგენტინელებმა იაპონელები, იუგოსლაველებმა სპარსელები, რუმინელებმა კოლუმბიელები. სორგატებმა 3:1 მოუგეს იამაიკელებს, ისევე, როგორც მექსიკელებმა — კორეელებს, ინგლისმა და გერმანიამ კი 2:0 მოუგეს ტუნისსა და ამერიკას. ე.წ. „პატარა გუნდთაგან“ ვერც ერთმა ვერაფრით გამოიჩინა თავი. იამაიკელები და კორეელები გარდა გოლი ვერც ერთმა გაიტანა, თუმცა ამათ გოლებმა ვერაზარი გაელენა მოახდინა მატჩების ბელზე. სამხრეთ აფრიკამ კი საერთოდაც 0:3 წააგო ფრანგებთან.

გამონაკლისად რჩებოდა მაროკოს ნაკრები, რომელმაც ამაღლელები ფრეითაშმა ნორვეგიის ნაკრებთან ჩემპიონატის გახსნის დღეს და მესამე საფეხბურთო სამყაროს სახელი დააქუხა მსოფლიო ჩემპიონატზე. მაროკოელები სიახლეს ინერციად დიდხანს არ გაგრძელებულა, ყველა პატარამ წააგო. მაროკოს ნაკრები კი მინც გამონაკლისად რჩება, რადგან შემადგენლობაში ნაღდი ვარსკვლავი — მუსტაფა პაჯი ჰყავს.

მაროკოელთა შემდეგ სიძლიერით ირანის მოდის. სპარსელებსაც ჰყავთ სამი გამოჩენილი ფეხბურთელი, ბაგერი, აბინი და ალი დავი. დანარჩენი კი ყველაფერი ერთნაირად. გამოჩენილი სუსტნი არიან წვრილთვალა აზიელები. ამ დროს კი წვრილთვალანი დიდი სენსაციის ავტორები გახლავან: 1966 წელს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა იტალიის ნაკრები დამარცხა და პორტუგალიასაც უგებდა 3:0-ს, მაგრამ მამინ ეუსებოთ ივარგა.

მაინაჩალათა შორის ერთგვარ გამოწვევას უდგას კამერუნის ნაკრებიც, რომელიც მაროკოელებისა არ იყოს, თავისი შეხვედრას იგებდა და თუმცა გოლი გაუშვია, სხვათა მგავსად არ წაუგია. ეს ყველაფერი საყმაო განსჯის საშუალებას იძლევა.

აუტსაიდერები და მათი ცხოვრება საყმაოდაა რეკლამირებული გაფეხბურთო მედიის მიერ. შევიდნენ ოცდაათობით გუნდის ჩართვა დიხაც ქმნის საფეხბურთო ფესტივალის ილუზიას, მაგრამ, როგორც ირევეა, ეს მხოლოდ ილუზიაა და მეტი არაფერი.

აი, გავეთხსნეთ იამაიკის ნაკრები. ამ გუნდს 3-4 მოთამაშე დაუმატებია ლონდონის მაინაჩალა კლუბ „უიმბლდონიან“ და ის, რომ რომი ერლმა კარგი თავურები იცის, პრემიერლიგის თვალყურისმგებ ადამიანს კარგად მოეჩვენება. იამაიკის ნაკრებიც გვიჩვენებს, რომ ერლმა თავურები იცის. სხვათაგან, ჩვენ ვიცით, რომ იამაიკელები გუნდს ჰყვია „რევი ბოზ“ და იამაიკა იგივე ბოზ მარლია, აგრეთვე, სულ ცოტათი

„ბონი ემი“, დაწულთმანი კაცები, ყვეთელ-მწიანე შორტები და მარისუანთი დაბნეული თვალები. რით არ არის საფესტივალო განწყობილი მათი თუ დაგუმატებთ ტრანკვილს, რომელსაც ვითომ რალაც ეცვა და პირდაპირ ბოთლიდან სვამდა ასე, 130 ფრანკიან შუშუნა ღვინოს, ცხადი გახდება, რომ საფრანგეთში იამაიკის კულტურის დეკადა მიმდინარეობს.

სხვა რა არის საინტერესო იამაიკურ ფეხბურთში?

არც არაფერი. თუმცა ვცდები, ყველამ — იამაიკამ, ირანმა, საუდუბმა და სხვებმა, იცის ფეხბურთის თამაში.

საზოგადოებრივ ფეხბურთის თამაში საკმაოდ ზოგადი ცნებაა და ბევრ რამეს იტევს. ამ შემთხვევაში კი იმას ვგულის

ფეხბურთის დონის ამაღლებას რომ ლაპარაკობენ, სწორედ ამას გულისხმობენ და არა იმას, რომ ამ გუნდებს სხვებთან გატოლება შეუძლიათ.

მსოფლიო ჩემპიონატი სენსაციების აღგილია.

ბოლო ოცდაათ წელიწადს საქმე ისე აეწყო, რომ სენსაციებს აფრთხილები გვთავაზობდნენ. გამოჩენილი კი არაბულ აფრიკის შედეგები. ეს არაბული აფრიკა დიდად გაამწარებდა ხოლმე გერმანელებს. ჯერ იყო და მსოფლიო ჩემპიონატების პირველმა არაბულმა გუნდმა, ტუნისმა გაუგორა ფრე ჩემპიონებს 1978 წელს, ოთხი წლის შემდეგ კი ალჟირის ნაკრებმა საერთოდაც დამარცხა გერმანელები. 1986 წელს, მექსიკაში, მაროკოს ნაკრები პირველად აღიღეს ისე გაგიდა თავის ჯგუფში, რომ უკან მოითოვა ინგლისი, პოლო-



მუსტაფა პაჯი — ყველაზე დიდი პატარებს შორის

სხვობა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე აღარ არიან ტექნიკურად და ტაქტიკურად გაუნათლებელი გუნდები. ყოველ პატარა გუნდს საუცხოო მწვრთნელი ჰყავს და მოწინავე ფეხბურთელთა თამაში თუნდაც საშუალო ევროპულ გუნდებში ამ ნაკრებებს სასაცილოდ აღარ ხდის. მაგრამ ერთი საფეხბურთო განათლება და მეორე ფეხბურთის ცოდნა, რაც სახელმძღვანელოებით კი არა, სულ სხვა რამით ისწავლება.

აი, ავიღოთ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. ყველაფერი უსწავლია, ყველაფერი დაუფლებია, მაგრამ ის, რაც მეცადინეობების გარეშე უნდა ჰქონდეს ფეხბურთელს, არ გააჩნია. ახლა გამახსენდა და ბარემ აქვე ვიტყვი:

ერთი ჩემი ნაცნობი ამერიკაში სწავლობდა, რომელიღაც სამხრეთულ უნივერსიტეტში. მოგვსენებთ, უნივერსიტეტებში სპორტი დაფასებულია და ამ ჩემს ნაცნობსაც ჰქონდეს, რომელ სახეობაში ჩაერთვებო. ამანაც სიას ჩახედა, იქ ფეხბურთი დიხანსა და აქ ჩავეწერე. მივიდა ვარჯიშზე და ხედავს — მწვრთნელს წიგნი გადაუშლია და იქ შეყრილი ბიჭებს უკითხავს. ჰვინტით დატყმა სრულდება ჰვინტით, ამა და ამ შემთხვევაში. „ბაიოთ“ ასეო, მოჭრილი ისეო, აჭრილიც ამნაირად. მერე გაუხსნებოთ ვარჯიში და თამაშობა. სულ სამ—სამი გოლი გამქონდაო, ყვებოდა ჩემი ნაცნობი. ოლქის სტუდენტთა შორის დიდი მეგობრის სახელი დაგვიდგდა და სემესტრულმა გამოცდამ რომ მოაწია, გამიგვირდა კიდეც, ფეხბურთში რა გამოცდა, გინდაც ჩათვლა უნდა ჩაატაროთ.

ჩაუჭრიათ. წიგნი არ ჰქონია დამუშავებული და ძალის თავიკ აქ არის დამარბული. მერე ცურვანე გადაგვიდა, ის უფრო იოლი იყო. დღევანდელ მსოფლიო ჩემპიონატს არ ჰყავს ზაირის, პაისტის და სილვადორის მსგავსი გუნდები.

ნეთი და პორტუგალია. თანაც, პორტუგალიელებს 3:1 მოუგო, დანარჩენ ორთან კი ნულთან ფრეები ჩაიწერა. მაროკო თამაშის მიწურულს და გამოთქმა მერვედღიანიდან გერმანიამ, რომელსაც უკვე ყელში ჰქონდა ამოშული ეს არაბული ანცობანი.

1990 წლიდან კი შავი აფრიკის ჯერი დადგა. ჯერ კამერუნი მივიდა მეოთხედღიანში და იქ კინალამ ინგლისს ჰკრა წილი, ამერიკაში კი პირველად განაგებდა ნიგერიის ნაკრებმა, რომელიც რამდენიმე ბაქოს გადამრჩენა გოლებმა დატოვა მეოთხედღიანის აქეთ.

ასეთ დროს სენსაცია ნამდვილად აღარ არის ხოლმე სენსაცია. აბა რაღა სენსაციაა, როცა უკვე წესია — აფრიკამ თამაში დაიწყო. მაგრამ აქ კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას. ეს გუნდები ყოველად უვარგისი იქნებოდნენ, ვარსკვლავები რომ არ ჰყოლიათ. 1982 წელს ალჟირელებს ჰყავდათ ლაქდარ ბელუმი და რაბაზ მაჟერი. 1986 წელს მაროკოელთა შორის იყო აბდერაზაკ ხაბიბი, ხოლო იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე კამერუნელთა შორის ბრწყინავდა როჟე მია. აღარაფერს ვამბობ ნიგერიელებზე. ანკი რა უნდა ვთქვა?

ასეთი ტიპის გუნდებში ვარსკვლავი, შემსრულებელი წარმატების მთავარი საწინდარია.

საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე „პატარებს“ პრობლემა გოლის პრობლემაა. მათ ვერ გააქეთ. დაცვაში კი საჭის ცოდნით ღებან. დანერგვა ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე შენება. თავდასხმაში ვეფეტურად თამაშს, თანაც მსოფლიო ჩემპიონატზე, სულ სხვაგვარი გაქანება სჭირდება.

არც ერთ ასეთ გუნდში ჯერჯერობით არ ჩანს როჟე მია.

არც ერთში, გარდა ერთისა: მაროკოელებს მუსტაფა პაჯი ჰყავთ.

სარგბიელი

საერთაშორისო ლაბარია „CROCO“



მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლება თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე ახარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთაველში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. | მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. | სავჭრო ცენტრი

მსოფლიო ჩემპიონატი

17 ივნისი			
ჩილე — ავსტრია	2,2	2,9	3,0
იტალია — კამერუნი	1,25	4,0	8,0
0:1	1,9	3,2	2,6
18 ივნისი			
ს. აფრიკა — დანია	4,2	2,9	1,8
საფრანგეთი — საუდეთი	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,2	4,0
19 ივნისი			
ნიგერია — ბულგარეთი	2,0	2,9	3,4
ესპანეთი — პარაგვაი	1,3	3,4	7,0
0:1	1,9	3,2	2,6
20 ივნისი			
ბელგია — მექსიკა	1,8	2,8	4,4
პოლანდია — კორეა	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,2	4,0
იაპონია — ზორვატია	9,0	5,0	1,2
0:1	3,5	3,2	1,6
21 ივნისი			
არგენტინა — იამაიკა	1,1	6,0	12,0
0:1	1,5	3,2	4,0
გერმანია — იუგოსლავია	1,7	3,0	4,7
აშშ — ირანი	2,5	2,9	2,5
22 ივნისი			
კოლუმბია — ტუნისი	1,5	3,2	5,0
რუმინეთი — ინგლისი	5,0	2,9	1,7

რუსეთის ჩემპიონატი. XII ტური

17 ივნისი			
როტორი — ტიუმენი	1,1	6,0	12,0
შინიკი — ბალტიკა	2,2	2,8	3,1
ზენიტი — ურალანი	1,2	5,0	9,0
ლოკომოტივი — ალანია	2,0	2,8	3,5
დინამო — ჟენიუშინა	1,7	3,0	4,2
ტორპედო — სპარტაკი	5,3	3,1	1,6
როსტისლამში — ცსკა	1,8	2,9	4,2

პირელი ფაიმი/სამდლოთ შედეგის გამტენიმაჟე და სხვა ეთეციციონდუმს თსნდრების შეცანის ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთაველში — კინოთეატრი „რუსთაველი“, XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.



ინიტი თუ არა, რომ...

...გერმანიის ნაკრების თავდამსხმელ იურგენ კლინსმანისთვის ამერიკელეების კარში გატანილი გოლი მეცხრე აღმოჩნდა, რომელიც ამ ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე გაუტანია. ამით იგი გახდა მე-17 მოთამაშე, ვისაც გოლი სამ სხვადასხვა მსოფლიოს ჩემპიონატზე შეუგდია. აღსანიშნავია, რომ კლინსმანმა მსოფლიოს უდიდეს ასპარეზობაზე ჩატარებულ ბოლო ექვს შეხვედრაში ამდენჯერვე გამოიჩინა თავი.

...პირველ წრეში 16 შეხვედრა ჩატარდა, რომლებშიც მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა 37 გოლის გატანა მოახერხეს. საშუალოდ თითოეულ თამაშში 2.31 ბურთი გადიოდა.

...საფრანგეთი, ნიგერია, ხორვატია და მექსიკა ის გუნდები არიან, რომელთაც მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შეხვედრებში სამი გოლი გაიტანეს. საფრანგეთში ჩასული 32 გუნდიდან 11-ის ფეხბურთელებმა საერთოდ ვერ მოახერხეს თავის გამოჩენა.

...ესპანეთი არის ერთადერთი განთესილი გუნდი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შეხვედრა წააგო. ისინი ნიგერელებთან 2:3 დამარცხდნენ. ხუთმა განთესილმა წარმატებით დაძლია პირველი ბარიერი, ხოლო დარჩენილი ორი — ჰოლანდია და იტალია ფრეს დაყაბულდა.

...მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ჩატარებულ ბოლო 11 შეხვედრაში გერმანიის ნაკრებს ორბურთიანი უპირატესობით არ გაემარჯვა. ორშაბათს კი მათ ეს ტრადიცია აშშ-ის 2:0 დამარცხებით დაარღვიეს. უკანასკნელად დიდი ანგარიშით გერმანიამ 1990 წელს იმარჯვა, როცა არაბეთის გაერთიანებული ემირატების ნაკრები 5:1 გაანადგურა.

...აშშ-ის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატებზე უკვე ზედიზედ მესამე მატჩში მარცხდება. წინა ორი წარმატებლობა ამერიკამ შინ, 1994 წელს იწვინა. მაშინ ეს გუნდი ჯგუფურ ტურნირში 0:1 დამარცხდა რუმინეთთან, ხოლო მერვედფინალში იმავე ანგარიშით ბრაზილიელებთან წააგო.

...ორშაბათს ინგლისის ნაკრებმა ტუნისელები 2:0 დამარცხა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მშრალად ჩატარებული თამაშების სერია 11-მდე გაზარდა. ახლა ალბიონელებს ბოლო 17 შეხვედრაში 11 თამაში დაუგროვდათ, რომლებშიც გოლი არ გაუშვიათ. იმავდროულად ეს 1986 წლის შემდეგ ორი და მეტი ბურთის სხვაობით მოგებული პირველი მატჩი იყო. მაშინ ინგლისელებმა პარაგვაი 3:0 სძლიეს.

...ინგლისთან 0:2 ნაკლებულ შეხვედრამდე ტუნისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატების დასკვნით ეტაპზე ორი ბურთის სხვაობით არასდროს დამარცხებულა. აღსანიშნავია, რომ აფრიკელეებმა მსოფლიოს უდიდეს სპორტულ ასპარეზობაზე ერთადერთხელ, 1978 წელს სცადეს ძალა. მაშინ ტუნისმა მექსიკას 3:1 მოუგო, დასავლეთ გერმანიასთან ფრედ 0:0 ითამაშა, ხოლო პოლონეთთან ოდენ 0:1 წააგო.

...რუმინელებმა ორშაბათს კოლუმბიის ნაკრების 1:0 დამარცხებით აგერ უკვე ოცნლიანი სასიამოვნო ტრადიცია შეინარჩუნეს. 1970 წლიდან მოყოლებული რუმინეთის ნაკრები სამხრეთამერიკულ გუნდთან არ დამარცხებულა. ბოლოს მათ მექსიკაში ოცი წლის წინ ბრაზილიასთან 2:3 წააგეს.

...ბელგიას მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 1986 წლის შემდეგ მატჩი ფრედ არ დაუმთავრებია. მაშინ ბელგიელები მეოთხედფინალში ესპანელებს დაუზავდნენ 1:1, შემდეგ კი პენალტების სერიაში იმარჯვეს.

...კორეა მსოფლიოს ჩემპიონატზე მესუთედ მონაწილეობს, მაგრამ ჯერ გამარჯვებისთვის ვერ მოუღწევია. შაბათს მექსიკელებთან 1:3 მარცხი აზიელთათვის მეცხრე აღმოჩნდა 12 ჩატარებულ შეხვედრაში. როგორც მიხვდით, კორეელების აქტიუმი დღესდღეობით ოდენ სამი ფრეა.

...კოლუმბიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ჩატარებული უკანასკნელი შვიდი მატჩიდან ხუთი წააგო. ორშაბათს ეს გუნდი რუმინელებთან 0:1 დამარცხდა და საფრანგეთში ჩასულთაგან პირველი სამხრეთამერიკული გუნდი შეიქნა, რომელმაც პირველ თამაშში სამი ქულა დაკარგა.

ქაა ქიისთვის. პალანისთვის

თურქეთის „ქოჯაღის“ რუმინელი თავდამსხმელი საბინ ილე ხუთწლიანი კონტრაქტით ესპანურ „ვალენსიაში“ გადავიდა. მომავალი სეზონიდან იგი თავის მამა ადრიანთან ერთად შეეცდება მეტოქე გუნდების კარის დალაშქვრას. შეგახსენებთ, რომ მამათან საფეხბურთო სამყაროში უფრო ცნობილი ადრიან ილე რუმინეთის ეროვნული ნაკრების წევრია.

უგედათი

მე-10 ტური. პამარბიუ — ტრელებორგი 1:0, გიოტებორგი — ელფსბორგი 1:0, ნორჩინგი — ორგრიტი 1:1, ესტერი — პავენი 0:2, ვასტრა ფროლუნდა — აიკი 1:1, მალმიო — ერებრო 1:3, პალმშტადი — ჰელსინგბორგი 1:0.

პამარბიუ	10	5	4	1	16:10	19
ნორჩინგი	10	4	5	1	13:8	17
ვასტრა	10	5	2	3	13:12	17
ჰელსინგბორგი	10	4	4	2	11:5	16
ერებრო	10	4	3	3	16:13	15
ელფსბორგი	10	3	5	2	12:10	14
პავენი	10	3	4	3	11:12	13
გიოტებორგი	10	3	4	3	9:14	13
ორგრიტი	10	3	3	4	14:12	12
აიკი	10	2	6	2	8:9	12
ტრელებორგი	10	3	3	4	8:10	12
პალმშტადი	10	4	0	6	13:19	12
მალმიო	10	2	2	6	14:15	8
ესტერი	10	1	3	6	8:17	6

იტალია

სამერია B

38-ე ტური. კალიარი — კიევი 2:2; ფანრია — სალერნიტანა 2:2; რეჯანა — ანკონა 2:2; ჯენოა — პადოვა 1:1; მონცა — პერუჯა 0:2; პესკარა — რეჯანა 0:2; რეჯანა — ვენეცია 1:1; ტორინო — ლუკეზე 1:1; ტრევიზო — დე სანგრო 3:2; ვეროა — რავენა 4:2

საბოლოო ცხრილი

სალერნიტანა	38	19	15	4	65:32	72
ვენეცია	38	17	13	8	51:31	64
კალიარი	38	15	18	5	53:36	63
ტორინო	38	17	11	10	49:40	62
პერუჯა	38	16	14	8	46:37	62
ვეროა	38	15	8	15	51:38	53
რეჯანა	38	13	14	11	37:41	53
ტრევიზო	38	12	16	10	43:42	52
ჯენოა	38	14	9	15	50:53	51
რეჯანა	38	13	11	14	36:35	50
კიევი	38	12	14	12	43:46	50
ფანრია	38	11	15	12	42:43	48
რავენა	38	11	12	15	41:43	45
მონცა	38	9	17	12	48:56	44
პესკარა	38	11	11	16	39:50	44
ლუკეზე	38	11	11	16	35:47	44
ფოჩა	38	9	14	15	48:55	41
ანკონა	38	8	16	14	49:61	40
პადოვა	38	8	12	18	30:49	36
დე სანგრო	38	5	15	18	38:63	30

ყრილობა თბილისის „მერანმა“ ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე წარსადგენი დელეგატები უკვე შეარჩია

ნაპაქი და გაბელაია ყრილობაზე

ამ მსოფლიოს ჩემპიონატის ცხელ დღეებში ეროვნული ფეხბურთისადმი ინტერესი ოდნავ განუღდა.

რა დროს ქართული ფეხბურთია, საფრანგეთის საფეხბურთო მინდვრებზე მსოფლიოს საუკეთესო გუნდები ცეცხლს ანთებენო, იტყვის მაგანი, მაგრამ დამთავრდება ჩემპიონატი და ორიოდ კვირაში ჩვენს ტანჯულ ფეხბურთშიც ცხელი დროება დაიწყება.

რა თქმა უნდა, საინტერესოა, ევროთასებზე უპირატესი ჩვენი გუნდები რამდენი ეტაპის დაძლევა შეძლებენ, როგორ და რანაირად შედეგა მათი ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი, რა ცვლილებები იქნება გათამაშების დებულებაში და რამდენი გუნდით გაემდიდრებით თუ შეემცირდებით.

გულშემატკივარი ყელაზე დიდ იმედს მაინც ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე ამყარებს.

ბევრს ჰგონია, რომ 24 ივლისიდან ქართულ ფეხბურთში ახალი, წინსვლითა და გამარჯვების ხანა უნდა დაიწყოს.

შეიძლება არც არაფერი შეიცვალოს, ყოველ შემთხვევაში, ფედერაციის ახლადშეკრულმა აპარატმა უცვლელი სახით განაგრძოს მუშაობა, მაგრამ ინტერესი მაინც დიდია.

ვიტ ჯორჯია გუგუშვილის მემკვიდრე სპარტაკ არჩეაძეა

ვიტალაბს სპარტაკი უთავკაცებთ

„მორკინალის“ საფეხბურთო ერა დასრულდა. არავინ უწყის, დაბრუნდებიან თუ არა ისევე ელიტაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, „მორკინალმა“ გზის ბოლოს მიაღწია, მერე კი იყო უფსკრული და გაურკვევლობა.

ვინც ჰქვიადა, თავს არ გადაიჩეხავს, ან უკან დაბრუნდება და უკვე გაგლიშლი აღმართს თავიდან შეუყვება, რაც სიკეთეს ნაკლებად მოუტანს, ანაც გზის ბოლოს შემორჩენილი ერთადერთ ბილიკს იპოვის, რომელიც მთელად, მაგრამ მაინც მიიყვანს მიზანთან.

შორი გზის შემოვლას დიდი ენერგია და ძალისხმევა სჭირდებოდა, ამიტომ „მორკინალის“ თავგაქცემა საბოლოო, მაგრამ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს. ისინი გზის დასასრულთან შეჩერდნენ, უფსკრულს შემოსავლელი ბილიკიც იპოვეს და ესტაფეტა ახალ ხალხს გადააბარეს.

„ვიტ ჯორჯია“, კიდევ ერთი ახალი სახელი ქართულ ფეხბურთში. ამ სახელმა გასული ჩემპიონატის მეორე წრის დასაწყისში გაიხმაურა.

ახალმა ხალხმა ძველის მიერ აღებული გეზი არ შეცვალა. არც იქნებოდა გამართლებული, მოგესწინებათ, ახალი საქმის დაწყებით ვითარებაში გასარკვევად გარკვეული დრო სჭირდებოდათ.

დრო მათ ჰქონდათ, მთელი მეორე წრე — ჩვენ ახლა ვიწყებთ, გვინდა, ნორმალური, ადამიანური კლუბი ჩამოვიყალიბოთ, სადაც ყველას თავისი საქმე ეცოდინება. აქცენტს მომავლის გუნდზე გავაკეთებთ. არჩევა არ გვარგებს, გვირჩევენია, მომავალ ჩემპიონატში ფეხი პლეის გათამაშებაში გავხდეთ ჩემპიონები და ჯგუფში ადგილი მყარად დავიბეჭდოთ, ვიდრე აქტიურად, მაღალ მიზნებს გამოვეყიდოთ და ამ სიჩქარეში მთავარი მიზანი ვერ ავისრულოთ — აცხადებენ „ვიტ ჯორჯიას“ თავგაქცევი.

სამომავლო გეგმები დასახულია, მოქმედება მალე დაიწყება და რაკი ვიტყვით, ბევრი დებიუტანტისგან განსხვავებით, მოკრძალებული და სერიოზული მიზნები დაუსახავთ, საქმე უნდა გამოუვიდეთ. ათასჯერ გაზომილს და ერთხელ გაჭრილს მუდამ გაუმართლებია.

ამ დღეებში საბოლოოდ გადაწყდება როდის, რა კონტიგენტით და სად დაიწყებს „ვიტ ჯორჯია“ სეზონისთვის მზადებას.

გუნდის ახალი თავკაცი უკვე ცნობილია, ვეტერინარებს სპარტაკ არჩეაძე გაწვრთნის, ხოლო ადრინდელი გუნდის მოამაგე კაცი — ელგუჯა გუგუშვილი ამიერიდან „ვიტ ჯორჯიას“ კონსულტანტი იქნება.

მამუშა კვანტალიანი

ყრილობაზე გადაწყვეტი მიმდინარეობს მანდატების მეპატრონეებს ენიჭებათ. ცდება ის, ვინც ფეხბურთს, რომ მანდატის აწვედს, თავის მისიას შეასრულებს და მერე ჩვეულად გააგრძელებს ყოველდღიურ საქმიანობას.

თითოეული მანდატის მფლობელი დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ პასუხი არჩეულ პრეზიდენტზე არანაკლებ მოეთხოვება.

საზოგადოება დელეგატთა ვინაობას აუცილებლად შეიტყობს და მერე მოკითხავს, თუ მათ მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა ნილა რატომ ვერ გამართლა. ეტყვიან, გიჯობდა, ადრე გეფიქრა, სანამ ხელს აღმართავდიო.

ამიტომ ზედმეტად ტვინის ჭყლეტა არავის აწყენდა.

ჯერჯერობით პრეზიდენტობის ორი კანდიდატი გვყავს — ალექსანდრე ჩივაძე და ილია დათუნაშვილი.

ბატონი ალექსანდრე, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას რომ ასრულებს, გულშემატკივართგან პატივცემული და ფედერაციის თუ ქართული ფეხბურთის შინაურ სამზარეულოში ერთობ გარკვეულია.

ილია დათუნაშვილთან ქართული ფეხბურთის ისტორიის არანაკლებ მნიშვნელოვანი პერიოდი დაკავშირებულია.

დინამო საქართველოს პირველ კლუბს მეორე შეილობილიც შეემატა

ჩემპიონი სამოხიოთაა

როგორც თბილისის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ გვითხრა, შესაძლოა, მომავალი სეზონიდან ეროვნულ ჩემპიონატში სამი „დინამო“ ვიხილოთ.

გეოსიმეძე, ჩემპიონებს ადრე ფარმკლბში „დინამო 2“ შეემატათ, ახლა კი კლუბის ხელმძღვანელები „დინამო 3“-ის შექმნას აპირებენ, რომელიც მესამე ჯგუფში ითამაშებს.

ეს ყველაფერი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვევას. მანამდე კი „დინამო“ ინტენსიურად ვარჯიშობს და 2 ივლისის ჩემპიონთა ლიგისა და ეროვნული ჩემპიონატისთვის მომზადებას ტალინში გაემზავრება.

ესტონეთში ჩვენი უპირველესი გუნდი ოთხ ამხანაგურ თამაშსაც გვემავს. ამით ჩატარების თარიღი კი ვიცით, მაგრამ მეტოქეები უცნობია. ტალინში ორი

ბათუმი ზღვისპირელები ახალი სეზონის სამზადისს უცვლელად შეუდგნენ

თასის მფლობელი არ შეცვლილა

„ბათუმის“ მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა გვითხრა, რომ მისი გუნდის მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველია. არა, ისე არ გაიგოთ, თითქმის ბათუმელებს რაიმე უჭირდეთ. უბრალოდ, კლუბმა მზადება კი დაიწყო, მაგრამ ზვალ-ზევ რა იქნება, თავად მწვრთნელმა არ იცის.

წამსვლელ-მომსვლელსავე ახალი

ქომავთათვის ბევრი სიხარულიც მიუნიჭებია, მაგრამ ბოლო წლებში ეროვნულ ფეხბურთს ჩამოშორდა.

ამ ორ კანდიდატს შორის ჯერჯერობით უპირატესობას ალექსანდრე ჩივაძეს ანიჭებენ.

არავინ იცის, ყრილობაზე რა ამბები დატრიალდება, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ 24 ივლისს კიდევ რამდენიმე კაცი წამოაყენებს თავის კანდიდატურას. მათ ჯერ თავიანთი ვინაობა არ გაუშვლიათ, მაგრამ ამაზე ჩუმ-ჩუმად საუბრობენ საფეხბურთო წრეებში.

აღდგომა და ზვალეო, ნათქვამია და თეთრი თუ შავი ყრილობაზე გაირჩევა. მანამდე კი გუნდები ყრილობაზე მისაველენ პიროვნებებს არჩევენ.

აგვალეთა „მერანმა“ ამ საკითხს საგანგებო კრება მიუძღვნა. მოგესწინებათ, მათ ორი მანდატი აქვთ. ბუნებრივია, 24 ივლისს არჩევნებზეც ორ კაცს მიაგვრენ.

კრების გადაწყვეტილებით, ყრილობაზე „მერანის“ პრესტიჟის დაცვა კლუბის პრეზიდენტ ნუგზარ ნავაძეს და ახალდანიშნულ მწვრთნელ სერგო გაბელაიას დაეკალა.

რაც შეეხება სხვათა დელეგატებს, მათ ვინაობას მომდევნო „სარბილში“ გაცნობებთ.

მამუშა კვანტალიანი

ისრაელის

სამედიცინო ცენტრი

პროსტატიტისა და მასთან დაკავშირებული მამაკაცთა პრობლემების ეფექტური მკურნალობა უახლესი მეთოდებით

22 76 78
25 22 28

მკურნალობა სრულიად ანონიმურია

მ. აბაშიძის 3. (ყოფილი ბარნოვის 91)





მირანი

საბავშვო ადგილი
მეშვიდე

სტადიონი: „სინათლე“ — 2000
1996 წლიდან თამაშობს ეროვნული
ჩემპიონატის A ჯგუფში.
ჩაატარა 60 მატჩი. მოგება — 31. ფრე
— 13, ნაგება — 16. ბურთების შეფა
რდება: 92:61.
1991-92 წლებში თამაშობდა ეროვნული
ჩემპიონატის D ჯგუფში. 1991, 1992-
93 წლებში C ჯგუფში. 1993-96 წლ
ებში კი B ჯგუფში.
რეკორდული მოგება — 6:0, 24.04.98
— ოდიში
რეკორდული ნაგება — 0:5, 29.03.98 —
დინამო
ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში — სუ
ლიკო დავითაშვილი 20
ყველაზე მეტი მატჩი A ჯგუფში — სუ
ლიკო დავითაშვილი 53



30 ტური

დინამო	30 24 4 2 86:1571
ბათუმი	30 18 7 5 58:1961
კოლხეთი	30 17 6 7 56:2757
ტორპედო	30 15 9 6 51:3054
ოდიში	30 15 4 11 43:5149
ლოკომოტივი	30 12 8 10 34:3744
მერანი	30 13 7 10 39:3339
თსუ	30 11 6 13 35:3339
დილა	30 11 4 15 31:3637
ვიტ ჯორჯია	30 9 12 27:3736
რუსთავი	30 10 4 16 32:4134
სამგურალი	30 9 7 14 31:5034
სიონი	30 10 6 14 49:4731
გურია	30 6 9 15 30:5827
მალაროელი	30 7 5 18 25:5926
მარგვეთი	30 2 7 21 12:7513

„მერანს“ დაგეგმილი აქვს 7
ქულა, „დინამოს“ და „სიონს“ — 5-5

„მერანის“ შედეგები მეშვიდე ჩემპიონატში

	შ	ს
დინამო	0:5	0:4
თსუ	1:0	1:0
დილა	1:0	0:2
სიონი	4:0	2:2
მარგვეთი	1:0	4:0
ოდიში	6:0	0:1
მალაროელი	1:0	1:0
ლოკომოტივი	0:1	1:1
ტორპედო	1:0	0:3
გურია	5:0	1:1
ვიტ ჯორჯია	2:1	1:1
ბათუმი	1:2	0:0
სამგურალი	1:0	1:0
რუსთავი	2:1	1:1
კოლხეთი	1:2	0:3

	თ	გ	ყ	წ
დავითაშვილი	29	10	2	0
ინიანიშვილი	28	1	3	1
გოგიაძე	28	0	1	0
ივანიშვილი	21	1	1	0
ბუხრიძე	20	0	3	0
ე. ალდაშვილი	19	0	1	1
ნაჭყებია	18	-22	0	0
ჯიშკარიანი	17	0	4	0
დანელია	15	4	3	0
აბაშაძე	15	3	1	0
გოდერძიშვილი	14	5	0	0
გენაძე	14	1	4	0
ცქიფურიშვილი	14	0	3	0
მესხი	13	3	0	0
კაკუბავა	13	1	1	0
ბაბულაიძე	13	0	2	0
კაპანაძე	12	1	1	1
ა. ხორხელი	12	1	1	0
გვეცაძე	12	-11	0	0
მანანაშვილი	11	3	0	0
გელა ქორიძე	11	1	0	0
ბერაია	10	0	0	0
სიდაშვილი	10	0	1	0
ჩიგოშვილი	8	2	0	1
დავითიძე	7	1	1	0
ჭინჭარაული	7	0	0	0
ბ. კვარაცხელია	6	1	1	0
გაბისონია	5	1	0	0
საბაიშვილი	2	0	0	0

შ.შინ: ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი;
ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი

მათარსურთჯაგლამბო

აბა და, წასულა

თბილისის „მერანი“ ქართულ ფეხბურთში მოულოდნელად შემოიჭრა. უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტს თავდაპირველად სერიოზულ მეტოქედ არავინ აღიქვამდა, მაგრამ მონდომებამ და გარჯამ ნაყოფი გამოიღო, „მერანმა“ იმერანა და პირველივე წელს მეოთხე ადგილს და ინტერტოტოს საგზურს დაეუფლა. ავტალელებს არც ინტერტოტოზე უასპარეზო ურიგოდ — ორი შეხვედრა მოიგეს, ამდენივე წააგეს და ჯგუფში მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ. ავსტრიულ რიგში 3:1 გამარჯვებამ კი არა მარტო „მერანის“, ქართული ფეხბურთის პრესტიჟიც აამაღლა. ვერავინ დაუკარგავს ფეხბურთელებს დამსახურებას, თუმცა წარმატებული სეზონის შემოქმედელ მაინც მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე უნდა ჩათვალოს, რომელიც კლუბის პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ ავსტრიიდან დაბრუნებისთანავე გუნდიდან გაუშვა. ძველი საქმიანობა, რა მოხდა საკლუბო კულუარებში, მაგრამ ასეთი ხმა კი გავრცელდა — ნავაძემ მახარაძე პირდაპირ აეროპორტში დააშორა „მერანს“. მოდიო, ყოველივეს „კონფლიქტი“ დავარქვათ და აქცენტი მთლიანად მეცხრე ეროვნულში „მერანის“ გამოსვლაზე გავაკეთოთ.

ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვამთავს

ძველია, გუნდისთვის წარმატებული ეწოდოს სეზონს, თუკი იგი რეგრესს განიცდის. მერვე ეროვნულში მეოთხე ადგილზე მყოფი მერანელები მეცხრეში ოდენ მეშვიდეობას დასჯერდნენ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სეზონის განმავლობაში „მერანი“ ორჯერ გადახალისდა, მეშვიდე ადგილიც მიღწევად უნდა მივიჩნიოთ. ეს აღინიშნა კიდევ გუნდის მესვეურთა მიერ გამართულ მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის შემავაძებელ სხდომაზე. ნავაძე და კომპანია თავიანთი ფეხბურთელებით კმაყოფილნი არიან, ოღონდ მარტო ფეხბურთელებით — სეზონის მერვე გუნდიდან ჯონი ჯანელიძეც გაუშვეს. ახლა ძველი იმაზე საუბარი, რა იყო მწვრთნელის წასვლის მიზეზი, მაგრამ რეგრესი რეგრესია და, ალბათ, ჯანელიძესაც მთავარ ცოდვად ეს ჩაუთვალეს. „მერანის“ დირექტორატი ფულს იხდის და თვითონ უწყის, ვის, სად და როგორ მოახმაროს ეს თანხა, ფულს კი „მერანის“ პატრონები პატიოსნად იხდიან. ჩვენი ღუჭვირი ყოფის კვალბაზე მათზე სამდურავის სათქმელად ენა ძველად თუ ვინმეს მოუბრუნდება — კლუბის მთელი არსებობის მანძილზე ხელფასები და პრემიები ერთხელაც არ დაგვიანებულა. ამგვარი ხალხი, ცხადია, ქართული „ფეხბურთის“ წითელ წიგნშია შესატანი.

მეშვიდელი №2

ჯონი ჯანელიძე ჩვენს ფეხბურთში ერთ-ერთი „მოხეტიალე“ მწვრთნელთაგანია. რომელი გუნდი და რეგირი გინდათ, მას არ ემუშაოს. ხალხმა კი პირველივე ეროვნულში გაიკნო, როცა მისმა „კოლხეთმა“ „დინამოს“, მაშინდელ „იბერიას“ პირველი სირცხვილი აჭამა.

მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ახალ-

მისული იყო, ჯანელიძემ პირველივე მატჩში თქვა თავისი სიტყვა. „გურიის“ 5:0 დამარცხებამ, რა თქმა უნდა, „მერანის“ აქციები აამაღლა, მაგრამ სკეპტიკოსებისთვის რომ გეკითხათ, ასეთი დიდი ანგარიში უფრო „გურიას“ სისუსტემ განაპირობა, ვიდრე მერანელთა სიძლიერემ. მავანთა სკეპტიციზმი გამართლდა — „მერანმა“ მთელი სეზონი ისე ჩაატარა, მისი

ლხეთთან უსაქცილობა შეიძლება დაუჯდა (ყველაზე მეტი ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში).

მეოცემაღალა

მეცხრე ეროვნულ ჩემპიონატში „მერანის“ ფეხბურთელების ანგარიშზე 37 ყვითელი, სამი წითელი და რამდენიმე სერიოზული დისკვალიფიკაციაა. დამეთანხმებით, არცთუ სახარბილო მონაცარია. კლუ-



დებიუტანტმა მიხეილ მესხმა 13 მატჩში მხოლოდ სამჯერ გაიტანა

პრეტენზია არავის სმენია და ძირითადად მეშვიდე-მეცხრე ადგილებს შორის მერყეობდა. თუ მწვრთნელისა და ხელმძღვანელების ინტერვიუებს დავესისებოთ, გუნდს ჰქონდა ამბიცია, მაგრამ ფედერაციის მსჯელობას და სხვა მიზეზების გამო „მერანმა“ ისე ვერ იასპარეზა, როგორც შეეძლო.

ჯონი ჯანელიძე ემოციური კაცია. იგი თამაშის დროს ფეხბურთელებს ხშირად კარნახობს, ზოგჯერ მსაჯესაც ეკამათება და ეტყობა, ყოველივე ეს ფეხბურთელებზეც ახდენს გავლენას. თუ ჯანელიძეს ძალუძს თავის შეკავება, ფეხბურთელები ამას ვერ ახერხებენ და ფედერაციის სადისკვალიზო კომისიის სასჯელიც არ აფერხებს. არადა, ჯონი ჯანელიძეს დისკვალიზინის მხრივ თითქმის ყველა გუნდში კარგად აქვს საქმე. ისინი მხოლოდ მინდორზე არიან ძველად მოსათვინიერებლები, აი, მოედანზე თუ ტრიბუნებზე ჩადენილ უდისკვალიზობას კი სფფ მრისხანელ — გუნდისთვის ქულების ჩამოკლებით პასუხობს. „მერანიც“ „ბათუმთან“ და „კო-

ბის დირექტორატმა უდისკვალიზობასთან საბრძოლველად ფულადი ჯარიმების სისტემა შემოიღო (ყვითელი ბარათი ჯიბის 50 ლარით ათხლებს, წითელი უფრო მეტითა). და მაინც, ეს გუნდი განვლილ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური იყო. არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, თითქმის მერანელებს უსაფრთხო სატურნირო მდგომარეობის მიუხედავად „გასასიერებელი მატჩები“ არ ჰქონიათ. მაგალითად „კოლხეთთან“ არაფრის მომცემი მატჩიც გამოდგება. ბიჭებმა იომეს, იბრძოლეს და წაგებანთან ერთად ერთი-ორი წითელიც აიკიდეს. მართალია, ის შეიდქულიანია მარაგი გუნდის საბოლოო სატურნირო მდგომარეობას ოდენ ერთი საფეხურით გააუმჯობესებდა, მაგრამ ვინ იცის, ეგებ სწორედ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ჩამოკლებულმა ხუთმა ქულამ დაუკარგა „მერანს“ ამბიცია.

თუ „მერანს“ ბარათების სიმრავლით შეუძლია დაიკვეხნოს, ქულების რაოდენობით თავს ვერ მოიწონებს. გუნდმა, ფაქ-

ტობრივად, 46 ქულა დააგროვა, ამას მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმილი დაგეგმა და საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე დაფიქსირდა. თბილისელებმა პირველი წრე არასტაბილური შემადგენლობის გამო არათანაბრად განვლეს, თუმცა მეცხრე ადგილს ქვევით არც მაშინ დაშვებულან. მეორე წრე უფრო სტაბილური იყო — გუნდი გაწეწვტილივით მეშვიდე-მეცხრე ადგილებს შორის იმყოფებოდა.

მთელი სეზონის განმავლობაში „მერანმა“ ოცდაცხრა ფეხბურთელი ათამაშა. აქედან მხოლოდ დავითაშვილმა, ინიაშვილმა, ივანიშვილმა და გოგიაძემ ჩაატარეს ოცი და მეტი მატჩი. შემადგენლობა თითქმის ყოველი მატჩის წინ იცვლებოდა, პირველი წრის შემდეგ კი გუნდი მოთამაშეთა თითქმის მესამედმა დატოვა. თუ სტატისტიკურ ანალიზს გავაკეთებთ, შევნიშნავთ, რომ „მერანის“ დაცვა პირველ ჯგუფში ერთი დირსეულთაგანია იყო. თბილისელია უკანა ხაზს მხოლოდ „დინამოსთან“ მატჩებში ჩაუვარდა. რაც შეეხება თავდასხმას, გატანილი ოცდაცხრამეტი ბურთიდან ლომის წილი დავითაშვილ-გოდერძიშვილის დუეტს ეკუთვნის (ამ უკანასკნელმა გუნდში მხოლოდ ერთი წრე დაამყო). კვარაცხელიასა და გაბისონიას წასვლის შემდეგ კი „მერანში“ გოლეადორი აღარ დარჩა. „აბრეზა“, გატანილი ათი გოლის (ყველაზე მეტი გუნდში) მიუხედავად, უფრო საზიფათო მომენტის შემქმნელია, ვიდრე გამტანი და კლუბის მესვეურებმა ალბათ, ახალ სეზონში ამასაც უნდა მიატყონ ყურადღება. სეზონის ბოლო ნაწილი გუნდმა უკეთ ჩაატარა, რამაც საშუალება მისცა, თსუ და „დილა“ მოეტოვებინა და ორი საფეხური ამაღლებულიყო. ამიტომაც იყო, „სინათლის“ სტადიონის მცირერიცხოვან ტრიბუნებს „მერანის“ გულშემატკივარი სეზონის ბოლომდე რომ აესებდა.

მინუს შვიდის მიჯაზენი

საერთოდ, თბილისელი გულშემატკივარი ობიექტურია. ობიექტურია ქვეყნის სხვა ქალაქების ქომაგებთან შედარებით, თორემ ემოციები არც მას აკლია. ავტალეული მაყურებელი დედაქალაქის სხვა გუნდების მხარდამხერით როლი ჰგავს. მიუხედავად იმისა, რომ იგი მცირერიცხოვანია და ძირითადად ერთი უბნის მცხოვრებლებს აერთიანებს, თუ აზვირდია, მტრისას და ავისას. იმ ჩამოკლებულ შეიდ ქულაში გულშემატკივრებს თანაბარი წილი მიუძღვით. თუ ფეხბურთელები მოედანზე იქცეოდნენ უდირსად, ისინი მოედანის გარეშე ცდილობდნენ მსაჯეთა დამინებას, თან ფედერაციასაც არ აკლებდნენ „ლოცვა-კურთხევას“. როცა არბიტრის „მოთვინიერება“ არ ხერხდებოდა, ქომაგები არც იმაზე იხვედნენ უკან, მინდორზე შეჭრილიყვნენ. ქვები, ხის ნაკრები და სხვა სასროლი მასალა „მერანის“ გულშემატკივართა არსენალში უხვად მოიძებნება. უბრალო მაგთულის ღობე დიდი ვერაფერი დაბრკოლებდა და მისი გადათელვა ადვილად ხალხისთვის პრობლემა არ წარმოადგენს. გადათელვისას რა მოგახსენოთ და ის კი გვიანხავს, მსაჯეები მოედანს ესკორტით რომ გაუცილებიათ. „მერანის“ გულშემატკივარი ისეთი არაფერს სჩადის, რაც სხვაგან არ მომხდარა, მაგრამ რადგან მატჩის დროს სტადიონის პოლიციელთა რაზმი არ იცავს, სხვათა თვალში ბევრჯერ ამიტომ ჩანს ღირედ. სხვა მხრივ კი კლუბს გულშემატკივრებთან სასაყვედურო არაფერი აქვს. ხალხი აქეზებს, ქომაგობს, ერთგულობს თავის გუნდს და მეტი არც მოეთხოვება.

ბასწი, „მერანო“!

„მერანს“ ამბიციური მეპატრონეები ჰყავს — გუნდმა ხომ ევროპაშიც იასპარეზა. ამიტომაც მათე ეროვნულ ჩემპიონატში რაც შეიძლება მაღალ ადგილს ეგმავს. გუნდს სათავეში კიდევ ერთი ახალი მთავარი მწვრთნელი ჩაუდგება, თუმცა სერგო გაბელაიას „მერანში“ ახალ კაცად ვერავინ ჩათვლის. იგი მანამდე კარგა ხნის განმავლობაში მუშაობდა მახარაძისა და ჯანელიძის თანამშემედ. წინ ახალი სეზონი და ახალი ბატალიყბია. „მერანს“ ჯაგალა გუნდს არავინ უწოდებს და მანაც უნდა იმერანოს.

კონსტანტინე გოგიშვილი

მოგვსენებთ, კარდიფში გამართულმა ნილოსკრამ მსოფლიოს თასის შესარჩევ ჯგუფში მეტოქეებად ირლანდია და რუმინეთი გვარგუნა, ასე რომ, სრულიად ბუნებრივია, მათი და მათი საქმეებითაც დავეინტერესდეთ. საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბურბამ მომდებარეს სწორედ ამიტომ გავესაუბრეთ.

ჩხუბით ნურაპინ შეგვაშინებს!

სანამ ბურბასთან საუბრის შინაარსს გააცნობდით, მცირე ინფორმაციას მოგაწვდით სამხრეთ აფრიკაში მყოფ ირლანდიელთა პირველი ტესტ-მატჩის შესახებ, რომელშიც, ახლანდელ გაუწყლო, ირლანდიელები 13:37 დამარცხდნენ. ამ შეხვედრაში

ცლიდა. მეტელმა ისიც თქვა, რაგბის წესები მსაჯის მიერ დაჯარიმების წინააღმდეგ თამაშის შემდეგ ჩივილს რომ არ კრძალავდეს, ვუღს ექვსი კვირით მაინც მოვაკეთებდით.

გურამ მოლბაძესთან საუბარი სწორედ კეიტ ვუდის „გმირობით“ დაიწყო.

— ეგ, ეტყობა, მართლა საშინელი ვინმეა, თორემ ერთი დარტყმით ორს როგორ დააწვენიდა. თუმცა, ალბათ, აფრიკელებიც ვერ იყვნენ მთლად ისეთ ჯანზე, როგორც უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი რამ ჩვენიან რომ გაეკეთებინა იმ ვილაც ვუღს, კარგად მოგვსენებთ, რა ამბავიც ატყდებოდა და რა დამარცხებოდა.

— ირლანდიელებსა და რუმინელებზე რამე თუ იცით ახალი?

— ძალიან ცოტა, თითქმის არაფერი. მაგრამ საამისოდ ემუშაობთ. ისე, გაქვეულ ბიზონზე ერთი ცნობილი თქმისა არ იყოს, ახლა ჩვენი გარეგნობა ძალიან ძნელი საქმეა. წავება თუ გვეწერა, რუსებთან უფრო უნდა წავგვევ.

— ჩვენი ნაკრების ფრანგი კონსულტანტი კლოდ სორელი ახლა სად არის?

— შინა, საფრანგეთში, ისევე და თან ჩვენს მეტოქეებზე ინფორმაციას აგროვებს.

— თამაშების განრიგი თუ დასუსტდა?

— ჯერ არა, ის კი ციკლი, რომ პირველ მატჩში რუმინელებს ვხვდებით. შემდეგ ჯერ ჩვენში წავებულნი ხვდება ირლანდიელებს, მერე კი მოგვხვდება.

— გეტყვით იმედი?

— ვეცდებით, ჩვენი თვის სასარგებლოდ გადავწყვიტოთ ყველაფერი. საამისოდ თავს არ დავხოვავთ, არც თამაშში და, თუ საჭირო შეიქნა, არც ჩხუბში.

ბაბატა თოთაძე

გატუტუნ სტოპა

საქართველოში გატუტუნის სფეროს

ნამდვილად კარგი დროება იყო 80-იანი წლების მიწურული ქართველი ბატუტისტებისთვის. იმდროინდელ მსოფლიოში თუ ვინმე იბრძოდა საერთაშორისო ასპარეზზე გასამარჯვებლად, მათ შორის ჩვენი ბატუტისტებიც იყვნენ. არც ის იყო უმნიშვნელო ამბავი, რომ იმხანად ჩვენში ჯერაც ვეზოტიკური ეს სახეობა, ასე ვთქვათ, ცალმხრივად არ განვითარებულა და წარმატებები ქალებისად დაეკუთვნებოდათ და ვაგებდა. შემდეგ კი დადგა მძიმე 90-იანი წლები, რომელშიც არა მხოლოდ პოლიტიკის გამოაღმწერლები თვის, არამედ სპორტის მემკვიდრეობითაც გულგულდობილ მოსაოწრებელი იქნება. დადგა 90-იანი წლები და ჩვენს უმაღლესი რანგის ვარსკვლავებს საერთაშორისო შეჯიბრებებზე ფეხი ამოკვეთათ უფულობისა თუ ყველასთვის ცნობილ სხვა მიზეზთა გამო. ასეთ პირობებში უმეტესობა აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და საარსებოდ სხვა პროფესია გამოიძებნა. ასე აღმოჩნდნენ ბატუტისტ-ტარბატები ცირკში მსახიობებად, მაგრამ, დღითი მადლით, იყო ის ხალხიც, ვინც საკუთარი მხრებით ზიდა და დღემდე შეგვინარჩუნა ეს სახეობა. კი შეგვინარჩუნეს, მაგრამ ახლა სხვა პრობლემები მიეძღვათ — იმ ხნის განმავლობაში, ჩვენ რომ უკან მივდიოდით, მსოფლიოს სპორტი ადგილიან ნაბიჯებით მიიწვედა წინ და თუ ჩვენი ბატუტისტები ბუნებრივი ნიჭით არც ახლა ჩამოუვარდებიან უცხოელ მეტოქეებს, მათი მზადების ხარისხთან უძლებენ არანაირს. ეს ხარისხი კი წერითი უახლეს ტექნოლოგიას, ულტრაბრტანდეროვ საგარეოში ინტენსივს ემყარება. ჩვენში კი ამაზე ლაპარაკი ზედმეტია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ახლანდელი ქართველი სპორტსმენი თანამედროვე ინტენსივს ვერც კი ოცნებობს. ეს ყოველივე ფსიქოლოგიურადც თრგუნავს და ბორკავს ისედაც წლებგაცდენილ ჩვენს სპორტსმენებს და დღეს რუსულან ზოფერია, ეს ოქროს მედლებთან შეზრდილი ბატუტისტი, აცხადებს, შეჯიბრების წინ დამწყებით ველავო.

მოგვსენებთ, ბატუტზე ხტომა ოლიმპიურ სახეობად აღიარეს და მისკენ ჩვენშიც უფრო ყურადღებით გაიხედეს. ზოფერიაშიც, როგორც ტანვარჯიშის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, გვითხრა, დეპარტამენტი ამჟამად შეძლებისდაგვარად ცდილობს ბატუტისტების დახმარებას, გვაფინანსებს უცხოურ ტურნირებზე წასასვლელად და 4 უცხოური, თანამედროვე ბატუტის შემენასაც გვპირდებოდა. დღემდე კქნას, სიტყვა, ჩვენებურად, სიტყვად არ დარჩენს და საქმეც მოჰყვებს, თორემ... აი, ახლანდელ რუსიკო მოთხრა ვარჯიშისას იმიტომ დაშვდა, რომ ადამის-სდროინდელი ბატუტის: ზამბარა გაწვდა, ერთი ნაწილი ტყვიასავით გაეგრდა და ზოფერიას ფეხი დაუზიანა. კიდევ კარგი, ტრავმა მძიმე არ აღმოჩნდა, მაგრამ სად არის იმის გაგანტა, რომ სხვა დროსაც ასე გადავივინდა ჩვენი ბატუტისტების ლიდერი. ფესტატიკებულ სპორტსმენი იმითა იმშვიდებდა თავს, მაღლობა დღემის, რკინა თავში მაინც არ მომხდლო. ახლა რუსიკო კვლავაც სრულ დატვირთვით ვარჯიშობს და ემზადება მსოფლიოს თასის მეორე ეტაპისთვის, რომელიც ავგის-ტომი შევიცარიაში გაიმართება. იქ ზოფერია გერმანიაში დაიჯანსუღულ ანა დოლნაქესთან ერთად ისაარეზებს წვეთოთა შეჯიბრში. პირველი ეტაპი მათ გამოტოვებს, რისი მიზეზიც ჩვენთვის ასე ნაცნობი და პროზაულია — ტურნირი ზამთარში ჩატარდა, რუსიკომ კი ვერ მოახერხა გაყინულ დარბაზში ვარჯიში. მსოფლიოს თასზე სულ იმართება ოთხი შესარჩევი ეტაპი, რომელთაგან სამში მონაწილეობა აუცილებელია, რათა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე დაგიშვან. ამიტომ ჩვენი გოგონები აუცილებლად ისაარეზებენ მომდევნო ორ ეტაპზეც — ნოემბერში დანიაში, დეკემბერში საფრანგეთში. მანამდე კი, სექტემბერს, გერმანიის ქალაქი დესაუელით, სადაც ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. მერე, ზუსტად ერთი თვის თავზე მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქ სიდნეიმ მსოფლიოს პირველობა.

საქართველოს ჩემპიონატი

მისკრისონისტების გაყოფა ავლაბარში

მსხარისი 29:17 ბსა
ექსპრესი: 1ლ. კახიანი; მატუტაძე; ასათიანი, კაცაძე, სარიშვილი; 2გ. კვინისაძე (2)
ასე: 2ლ. მინაშვილი, პავლიაშვილი; 2გ. იოვანე; ძამიაშვილი; 1ს. ძამიაშვილი

გუშინ ავლაბარში, არმიელთა სტადიონზე საქართველოს მორაგბეთა ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩი გაიმართა „ექსპრესისა“ და ასე-ს შორის. ეს შეხვედრა ორი სიტყვით ასე შეიძლება შეფასდეს — ფიზიკურად ძლიერმა „ექსპრესის“ მორაგბეებმა აშკარად დაჯანსუღეს არმიელი კოლეგები, ამათ კი რეგამში აუტიდან მიწოდებული ბურთების მოხელთებით აიღეს, რასაც ძირითადად ირაკლი მინაშვილს უნდა უმადლოდნენ.

მატჩი დაძაბულად კი დაიწყო — ესკპრესელებმა მალევე შეძლეს ლელოს გატანა, მაგრამ მერე დაძაბულობა ჩაცხრა, პირველად გამტანებმა ფიზიკური უპირატესობის გამოიყენეს ვეღარ შეძლეს და ტაიმი არმიელებმა მოიგეს 10:5.

მეორე ტაიმი ოდნავ უკეთესი სანახავი გამოდგა. „ექსპრესმა“ ღონით მაინც იძალა და ეს ანგარიშიც ასახა, თანაც უფრო გაიხსნა და ამან თამაში უკეთესი სანახავი გახადა, რადგან ასე თავიდანვე გაშლილად თამაშობდა და აკი ორივე ლელო კარგად გათამაშებული მარათი გაიტანა. მარაო „ექსპრესმა“ არანაკლებ მოხდინა და არმიელთა ზღუდენიც გადალახა. ექსპრესელთა უპირატესობის ზრდასთან ერთად თანდათან დაძაბულობაც მატულობდა და საქმად ნერვიული ატმოსფერო შეიქმნა, თუმცა საქმე გართულებამდე, თუნდაც უმნიშვნელომდე, არ მისულა. „ექსპრესმა“ მთელი მეორე ტაიმი კარგად ბოჭა არმიელთა წინა ხაზი, თუმცა თამაშის მიწურულს, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაინც გაეპარა პავლიაშვილის შეტევა. გამარჯვებულმა გუნდმა ცუდადაც ურტყეს — ხუთი შესაძლებელია მხოლოდ ორი გარდასახეს, საჯარბო კი ყველა ააცილეს. არმიელთაგან ზუსტი დარტყმებით გელა ძამიაშვილი გამოირჩა.

ირაკლი თამაძე

საქართველოს კალათბურთულ ვაჟთა ნაკრები „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე განაგრძობს მზადებას. გუნდი ბაქოს საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადება. ლაპარაკი თითქოს მოსკოვის ტურნირზე იყო, მაგრამ რუსეთმა ვერ შეძლო მისი ორგანიზება და სამომავლოდ გადადო. ამან, ბუნებრივია, დაგვიანტერესა და ნაკრების უფროს მწვრთნელს ლეონ მისაშვილს მივგავითხეთ.

ნაბრები გაქოლან ავლაბს ელის

- დროა, თბილისშიც მოეწყოს საერთაშორისო ტურნირები
- სტეფანია საქმის მოსაგვარებლად ამერიკაში წავიდა
- თუ საქირო გახდა, მოსემვილი დიპლომატებსაც დაიხმარს

— მოგვსენებთ, ივლისში მოსკოვი მსოფლიოს ახალგაზრდულ ოლიმპიადის მასპინძლობს. ამის გამო ახლა თითქმის ყველა სპორტულ ნაგებობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ტურნირიც ამიტომ ჩაიშალა. ჩვენ შეთავაზეთ, შეჯიბრება ზამთარში თბილისში ჩავეტარებინა. ხარჯები ამ შემთხვევაშიც მათი იქნებოდა და შესაბამისად შემოსავალიც. ინიციატივა მოიწონეს, მაგრამ აქ ერთი საკითხია — ზამთარში ლევიორების ჩამოსვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, რადგან ამ დროს ისინი თავიანთი კლუბების ღირსებას იცავენ. ლევიორების გარეშე კი ტურნირს რა ხიბლი ექნება. თუმცა ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

— ბაქოში გამგზავრება რამდენად რეალურია?

— მიწვევა კი მივიღეთ, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერს ვეტყვით. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა შემადგენლობა მოიყრის თავს.

ტურნირი 26-31 ივნისს გაიმართება. ჩვენს გარდა ისრაელის, ირანის, სანკტ-პეტერბურგის და მოსკოვის გუნდები არიან მიწვევულნი. იქამდე ჯერ საქაო დროა. ვფიქრობ, 3-4 დღეში ყველაფერი გაირკვევა. თუ ამ გუნდებმა მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს, ჩვენც ჩავალთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ბაქოში გამგზავრება გამოიყენებულია.

— როგორც ირეგავა, ეს ტურნირი საკლუბო დონისაა. ამ შემთხვევაში ნაკრების გამგზავრება რამდენად გამართლებულია?

— ბაქოში, ალბათ, „დინამოს“ ან კლუბების ნაკრების სახელით ჩავალთ, შემადგენლობაზეც იმის შესაბამისად დავაკომპლექტებთ, თუ რა რანგის კლუბები მიიღებენ მონაწილეობას. შესაძლოა, ბაქოს უძლიერესი შემადგენლობით არც ვეწვიოთ. რამდენიმე დღე მოვიცადოთ და ყველაფერი გაირკვევა. რაც უნდა იყოს, ნებისმიერი რანგის ტურნირი გუნდს სასიკეთოდ წაადგება.

— წამსვლელთა ვინაობას საბოლოოდ როდის დასახვლებთ?

— 4-5 დღით ადრე, დაახლოებით 22 ივნისისთვის.

— ნაკრებს უახლოესი ოფიციალური მატჩი როდის უწევს?

— ნოემბრიდან განახლდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე ეტაპი. 25-ში ჩვენებს ვესტუმრებით, ზოლო 28 ნოემბერს თბილისში შევდგებთ უმასპინძლებთ.

— ხუთმა ევროპულმა მარცხმა საშინელ შედეგს საქართველოს ნაკრების პრესტიჟი. ამას გამოსწორება უნდა. ნოემბრამდე დროც საკმაოა. თუ დასახეთ რამიმ გვემაო როგორ ააიარებთ მდგომარეობის გამოსწორებას? გულშემატკივარი რეაბილიტაციას ითხოვს.

— გემა იცოცხლო, შესანიშნავია, მაგრამ ყველაფერი თავი და თავი მაინც ფინანსური სიძნელეებია. ფული კი არ ჩანს. ნაკრები საერთაშორისო სექტემბრიდან შეუდგება სერიოზულ სამზადისს. დაგეგმილი გვაქვს ორკვირიანი შეტრება სლოვაკეთის მთიანეთში, ტატრებში. ეს ულამაზესი ადგილია და მომზადების იდეალური პირობებს შეგვძინდნენ. ოქტომბერში საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას ვაპირებთ. უკვე დროა, თბილისშიც მოვაწყოთ მსგავსი შეჯიბრებები, თუმცა ეს ჯერ მონახაზა და ყოველივეს ბედი მთლიანად ფინანსებზე იქნება დამოკიდებული. უშუალოდ თამაშებამდე ერთი კვირით გავმზავრებით ისრაელში, სადაც ოთხ ამხანაგურ შეხვედრას გაუმართავად ადგილობრივ კლუბებთან. ჩვენში ჩასვლამდე კი ზაღდ მოსკოვში გაეწერებთ



ლეონ მოსემვილი

და ორ საკონტროლი თამაშს ჩავატარებთ მოსკოვის ცსკა-სა და „დინამოსთან“. მოკლედ, არსებობს მონახაზი, რომელსაც განხორციელებაც უნდა. ამის გარეშე წარმატებებზე ფიქრი საუფუძვლსმოკლებულია.

— როგორ იქნება სტეფანიას საქმე? გაივადეთ, ვოვა ამჟამად ამერიკაში იმყოფებაო.

— რამდენიმე დღის წინ ვატო ნაცვლიშვილს შევხვდით ტელეფონით შტატებიდან. მისით ერთ-ერთი კლუბი დაინტერესებულია, სხვას ვოვას შესახებ ჯერ ვერაფერს ვეტყვით.

— სტეფანია ნაკრების ლიდერთაგანია და მნიშვნელოვნად განაპირობებს გუნდის თამაშს. ვფიქრობ, მასთან უფრო სწორი კონტაქტია საჭირო.

— გეათანხმებით, ვოვა მართლაც კარგი კალათბურთელია, მაგრამ მისი ნაკრებში თამაში დიდად საუკვოც გახლავთ. ამის თაობაზე მე საკუთარი მოსაზრება გამარჩია. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს პროფესიონალიზმი. არა, ვოვას პროფესიონალიზმს კი არ ვუწუწუებ, აქ ლაპარაკია იმ კონტრაქტზე, რომელსაც იგი კლუბთან გააფორმებს. იქ აუცილებელია ისეთი მუხლი, რომლის თანახმადაც ვოვა ყოველთვის მზად იქნება ნაკრებში სათანამოდ. ეს იმ ტურნირის კეთილი ნებაც უნდა იყოს და საჭირო შემთხვევაში ყოველგვარი შეფერხების გარეშე უნდა შეგვეძლოს მისი ჩამოყვანა. ამისთვის არსებობს ერთადერთი გამოსავალი, საქართველოს ელჩი ამერიკაში, ბატონი თეოდო ჯაფარიძე. მასთან მჭიდრო ურთიერთობა მაკავშირებს და შევეცდები, ეს ბერკეტი ბოლომდე გამოვიყენო. სტეფანია ნაკრებს სჭირდება და მას ასე იოლად ვერ შევეცდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩათვალეთ, რომ ვოვა საქართველოსთვის დაკარგულია.

— ბილის, მოდით, ორიოდ სიტყვით „დინამოზე“ ვთქვათ. რა მდგომარეობაა გუნდში?

— ბიჭები ახლა შეგებულებაში არიან. გუნდიდან არავინ წასულა, ასე რომ, კარდინალური ცვლილებები არ არის. თუ საშუალება იქნება, ალბათ, 3-4 მოთამაშეს დავიმატებთ. რამდენიმე მთავანი ახლაც ვარჯიშობს. მაღელ შევიტყობებით და კონკრეტულ გეგმებსაც დავსახავთ.

— „დინამო 2“-ზე რას იტყვით, რატომ დაიშალა საბაზო გუნდი?

— ეს ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ასეთ პირობებში ორი გუნდის შენახვა შეუძლებელია. თუმცა აზრი, თითქმის „დინამო 2“ ჩვენი საბაზო გუნდია, მცდარია. ჩემპიონატის დაწყებამდე მისგან ორი მოთამაშის დამატება მოვიწოდებთ და უარი მივიღეთ. არადა, ეს გუნდი სწორედ რეზერვისთვის შეიქმნა.

გიორგი ბიკაშვილი

დიდხანს გაგრძელდა

გმელა

2 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა)
1 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგანი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), აბდელვადილ ჰადა (მაროკო), კრისტინ ვიერი (იტალია), რობერტო ბაჯო (იტალია), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), ფერნანდო იერო (ესპანეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადემოფუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), პასეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), სინიშა მიშაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინჩევი (ხორვატია), დავორ შუკერი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სკოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მოლერი (ერტ-გერმანია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ჰ. ფლო (ნორვეგია), ბარლი (შოტლანდია), რონალდო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), ბებეტო (ბრაზილია)

ავტოგოლუ

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)
1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი)

წითელი ბარათები

D ჯგუფი

ანატოლი ნანკოვი (ბულგარეთი)

E ჯგუფი

პასეკ ჯუ (სამხრეთ კორეა), პატრიკ კლუივერტი (შოტლანდია)

ყვითელი ბარათები

A ჯგუფი

სეზარ სამპაიო (ბრაზილია) — 2, დარენ ჯექსონი (შოტლანდია) — 2, საიდ ჩიბა (მაროკო) — 2, ალდარი (ბრაზილია), აბდელვადილ ჰადა (მაროკო), გორდონ დიური (შოტლანდია), კეტილ რედალი (ნორვეგია), პენინგ ბერგი (ნორვეგია), სეზარ სამპაიო (ბრაზილია)

B ჯგუფი

ანჯელო დი ლიგო (იტალია), ფაბიო კანავარო (იტალია), ნელსონ პარაგუი (ჩილე), კლარენს აკუნია (ჩილე), ფრანსისკო როხასი (ჩილე), სამუელ იბუა (კამერუნი), ანტონ პფეფერი (ავსტრია)

C ჯგუფი

მორტენ ვიგჰორსტი (დანია), მარკ რიპერი (დანია), ალან ნილსენი (დანია), ხალიდ ალ მუვალდი (საუდეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), დიდიე დემამბი (საფრანგეთი), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), ვილემ ჯექსონი (ს. აფრიკა)

D ჯგუფი

მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ანატოლი ნანკოვი (ბულგარეთი), ხრიტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი), ტრიფონ ივანოვი (ბულგარეთი), გილერმო ამორი (ესპანეთი), მიგელ ანხელ ნადალი (ესპანეთი), ივან კამპო (ესპანეთი), უჩე ოკეჩუკუ (ნიგერია)

E ჯგუფი

ხაიმე ორდიალესი (მექსიკა), ალბერტო გარსია ასპე (მექსიკა), ლორენცო სტალენსი (ბელგია), ერიკ დეფლენდრე (ბელგია)

F ჯგუფი

ზელიკო პეტროვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), იენს იერემისი (გერმანია), დიტმარ ჰამანი (გერმანია), იორგ ჰაინრიხი (გერმანია), ფრენკი შეიდუი (აშშ), ედი პოუპი (აშშ)

G ჯგუფი

ხოსე კლიტორი (ტუნისი), იმედ ბენ ინეზი (ტუნისი), კაის გოდბენი (ტუნისი), სოლ კემპბელი (ინგლისი), ხოსე სანტა (კოლუმბია), იულიან ფილიპესკუ (რუმინეთი), დორინელ მუნტენი (რუმინეთი), დან პეტრესკუ (რუმინეთი)

H ჯგუფი

მასამი იპარა (იაპონია), ისუკე ნაკანიში (იაპონია), ტაკაში შირანო (იაპონია), ზეონიმიტ სოლდო (ხორვატია), დარიო სიმიჩი (ხორვატია), დეონ ბარტონი (იამაიკა)

გადარეული წაღობა ბრიტანელი გულშემატკივრები: იმის ნაცვლად, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ციკლად სანაზად საფრანგეთში ჩასვლამ ფეხბურთის ისიამოვნონ და დრო გაატარონ, პატა სისულელეების გამო საფრანგული ნაკრების მოწინააღმდეგე გუნდის ქომაგებს აუხრდებიან ხოლმე და ერთ ვაი-უშველელს სტევენ. აღვირახსნილი ბრიტანელი უსაქილოებას ხშირად საზღვარი არა აქვს — გზად ყველაფერს ამტკრებენ, ლეწვენ, რაც შეუძლებელია, ხოლო თუ საერთოდ ჭკუას გადასცდნენ, თავისთვის მყოფ გამწვანებულ გულშემატკივრებსაც ერჩიან.

დაახლოებით 60-70-იანი წლებიდან იწყება გიჟ ინგლისელ და შოტლანდიელ ქომაგთა გამოჩენა დანაშაულებრივ სარბიელზე. გულშემატკივრები ყოველთვის ყველა გუნდს ჰყავდა, თუმცა სხვათა ქომაგებზე საცემად გაწვევად არავის ჰქონია, მითუმეტეს სისხლი დაეღვართ. ეს არაბრიტანელთათვის გახლდათ წარმოუდგენელი, თორემ იქ, კუნძულზე.

ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია, რომელიც 1985 წლის ჩემპიონთა თასის ფინალის წინ მოხდა ბრიუსელის „ეიზელის“ სტადიონზე, სწორედ ბრიტანელმა, კონკრეტულად კი ინგლისელმა ფანებმა დაატყვევეს — იმის შემდეგ, რაც წესრიგის დამცველნი 39 გარდაცვლილი იტალიელი ტიფოზის ცხედარს გამოასვენებენ სტადიონიდან, „ლივერპულის“ წარმომადგენლები იტყვიან — „იუვენტუსის“ გულშემატკივრები სიტყვიერ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, ჩვენი გუნდის ქომაგებსაც ნერვებს უმტყვნა და შედეგად კი აი, რა მივიღეთო. ერთი სიტყვით, ალბიონელები აპენინელთა დადანაშაულებას ეცდნენ, თუმცა ამათ მათ არაფერი ეშველათ. ის ფინალი „ლივერპულში“ 0:1 წაგო, უფრო კი მომხდარის გამო უმკაცრესი ზომებით მიიღო — ინგლისურ კლუბებს 5 წლით აუკრძალა ევროტურნირებზე თამაში.

მას შემდეგ ბევრმა წყაღმა ჩაიარა. ყველაფერი მცდელობა, აღეკვეთათ ფანების აღვირახსნილობა, უშედეგოდ დასრულდა — გადარეულები მაინც თავისას განაგრძობდნენ.

ახლაც, მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, ინგლისელები მაინც ვერ შეა-

კაცეს — იყილა ბრიტანელთა მარდვე-ბში მქეფავმა ფანურმა სისხლმა. ინგლის — ტუნისის შეხვედრამდე მათ ზღვისპირა ქალაქ მარსელის რამდენიმე უბანში გააყვანეს. დაღუწეს რამდენიმე კაცი, დაწვეს ათიოდე მანქანა, ბოლოს კი ერთ-ერთი ინგლისელი ქომაგი თავში დანით მიყენებული ჭრილობის გამო გარდაიცვალა, დაახლოებით 50-მდე კი ფრანგმა პოლიციელებმა სატუსალოში გააქანეს.

გუშინ განსაკუთრებით თავგარიანი ფანების სასამართლო შედეგა — 26 წლის კრისტოფერ ანდერსონს და მის თანატოლ გრემ ზოტბის ტუნისელი გულშემატკივრის სასტიკად მიბეგვისთვის სამი თვით ციხეში ყურყუტი მოუწევთ, ხოლო მანქანათმშენებელი ღონ დოვის, ჯიკ მერბერის და კიტ საფერლინდს ორ თვეს გაატარებინებენ საპატიმროში.

— დროა, ყველამ შეიგნოს, რომ ინგლისელი გულშემატკივრებისგან ამგვარ საშინელებებს ვეღარ ავიტანთ. ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფილა გვეცხება და ფანების წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მივიღებთ. მსოფლიოს ჩემპიონატით გულშემატკივრებმა უნდა ისიამოვნონ. აქ კი ისინი შიშობენ, გადარეული ინგლისელი ფანები თავს არ დაეცნენ და სისხლი არ აღინონ — განაცხადა გუშინ ჟან პოლ კალიმ, მარსელის პოლიციის ერთ-ერთი ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა. მანვე ისიც დასძინა, ინგლისელი ფანის მკვლელობის საქმეს ვიძიებთ, დანაშაულში ეჭვმიტანილი რამდენიმე ტუნისელი გულშემატკივარი მეთვალყურეობის ქვეშე კი გვყავს, მაგრამ საბოლოოდ ჯერ არაფერი დავცილებთ.

ეს ყველაფერი კვირას მომხდარზე გამოხატულება გახლავთ, გუშინ კი შოტლანდიელებმა, თითქმის მეზობლებზე ნაკლები რითი ვართო, ბორდოს ერთ-ერთი უბანი ლე ბელმენი აღგავეს პირისაგან მოწისა.

ბორდოს მერიამ მარსელელი კოლეგების გამოცდილება ვერ გაითვალისწინა და ლუდის გაყიდვა ქალაქში არ აკრძალა. შედეგად ის მიიღო, რომ ეროვნულ კაბეში გამოწყობილმა და საგრძნობლად შეზარსოვებულმა გულშემატკივრებმა ნორვეგიელ ვიკინგებს რომ ჰკიდეს თვალი, მყისიერად გამხდნენ, ბოლმა ყელში



არავის გაუკვირდეს, შოტლანდიელი გულშემატკივრებისთვის, სქესის განურჩევლად, კაბის წამოხდა ჩვეულებრივი ამბავია

მოაწვიათ და სკანდინავიელი ქომაგებისკენ გაიწიეს. შეზღა-შემოხდა აქაც ატყდა, მაგრამ ისიც უნდა დავძინოთ, რომ მარსელისგან განსხვავებით, ბორდოში სისხლი არ დაღვრილა.

— სამწუხაროა, რომ შეტაკების თავიდან აცილება ვერ შევძელით. ბელმა გაგვიღმა და ტრაგედიას გადავჩრით. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ერთი კაცი სიცოცხლის ზელოყოფაც ღირს უბედურებაა, არათუ ორის. იმედია, ახლა მთელი საფრანგეთი გაითვალისწინებს ჩვენს გამოცდილებას. ვაფრთხილებთ თამაშების მასპინძელ ყველა ქალაქს, უფრთხილდნენ გიჟმა ფანებს, არა აქვს მნიშვნელობა, ინგლისელები იქნებიან ისინი თუ შოტლანდიელები — ბორდოს პოლიციის შეფი ჟან მერსიე აღშფოთებული გახლდათ. სხვათა შორის, თამაშ-

მდე ქალაქში 50-მდე სქოთი ფანი დააკავეს, რომლებიც იმით დასაჯეს, რომ ბილიეტების წარდგენის მოუხდავად, თამაშზე არ გაუშვეს. შოტლანდიელთათვის ეს მართლაც ყველაზე მწარე სასჯელი გახლდათ.

შოტლანდია — ნორვეგიის შეხვედრის შემდეგ ქალაქში რამე „გადატრიალება“ არ მომხდარა. ამჯერად ყაიმიტ კმაყოფილმა ფანებმა ლუდსანებს მიაშურეს და ემოციები იქ დაიოკეს.

პოლიციელებმა შოტლანდიელები დროებით მოიშორეს. ახლა ისევ ინგლისელი ქომაგების ჯერია.

ერთი მორხუცი ბორდოელი ქალბატონისა არ იყოს — დიდხანს გაგრძელდება ასე?

ლუზა გოდუაძე

მზეო, ამოდი, ამოდი

ნანტში ბრაზილიელ გულშემატკივრებს თავი შინაურულად რომ ეგრძნოთ, ორგანიზატორებმა „ალტერნატიული“ კომაკაბანას სანაპირო მოუწყვეს, ისეთი, რით დე ფანეირთში რომ არის, მაგრამ... კეთილ მასპინძლებს საქმე წვიმიანმა დღეებმა გაუფუჭა, ქალაქის კათედრალურ ტაძართან საგანგებოდ მიტანილი 2 800 ტონა ქვიშით მოწყობილი ვითომ-პლაჟს, ცუდი დღე დაადგა.

„ისე წვიმდა, ხალხმა პლაჟის ნაცვლად ჩვეს კარავში თავის შეფარება იჩქარა“ — თქვა პრესატაშემ, რომელიც ზეცას შემყურებდა — „საბედნიეროდ, ამ ადგილით ბრაზილიელი ფეხბურთელები დაინტერესებულან. კეთილი იყოს მათი მოზრძანება.“

ორგანიზატორებს ფსევდო-კომაკაბანას ულამაზესი ქალის ასარჩევი კონკურსიც ჰქონდათ ჩაფიქრებული, მაგრამ ესეც ჩაიშალა.

შედარებით გაუმართლა ფრენბურთის ტურნირს. შაბათს ქვიშისგან სახლების აგებამა შეჯიბრება.

მზეო, ამოდი, ამოდი...



იაპონიის მეფისწული ფაკამადო (მარცხენი) ძეყენის ნაბრძეს ესტუმრა და მწვინთელომთან იმუბთავა კიდეს

ფანბურთს ტუსაღების უყურებენ

როგორც იცით, მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე სუთი აფრიკული გუნდი მონაწილეობს. ერთ-ერთი მათგანი კამერუნის ნაკრებია, რომელიც ამ ტურნირზე მეოთხედ თამაშობს.

საუვარელი გუნდის ასეთი დონი შეჯიბრზე მონაწილეობა დაბეჩავეული ქვეყნის მცხოვრებთათვის დიდი დღესასწაულია. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ კამერუნის ერთ-ერთ საპატიმროში ციხის უფროსობამ მიიმე სამუშაოები დროებით, ჩემპიონატის დასრულებამდე შეწყვიტა და ტუსადთათვის ტელევიზორების დამონტაჟებაც კი ბრძანა.

იაუნდეს ცენტრალურ საპატიმროში, სასჯელმისჯილებს ერთ-ბაშად რვა ტელევიზორში შეუძლიათ დიდი ფეხბურთის ეურება და საუვარელი „მოუთვინიერებელი ღომების“ ქომაგობა. სხვათა შორის, ამ ციხეში მყოფ 674 ტუსადს შორის კამერუნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვინსენტ ონანგ იმყოფება, რომელიც სახელს მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთების უკანონოდ გაყიდვისთვის იხდის. სააგენტო „როიტერის“ წარმომადგენლის თხოვნაზე, ერთი-ორი სიტყვით მოეყოლა, თუ როგორია პატიმრის ცხოვრება, ონანამ ჭკასუხა, სათქმელი არაფერი მასწავს. მნელა ციხეში ჯდობა, მით უმეტეს, კამერუნში. თუმცა ფეხბურთის ეურება ევეღვან შეიძლება.

სარბიელი

სპორტული ვაჭეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის
დღეებში — კვირამი შეიღჯერ

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ჯორჯაძე
რედაქტორი
თამაზ მიხრაშვილი
ტექნიკური რედაქტორი
ბურაბ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
პასტაზა ბუნიკაძე

ფეხბურთის განყოფილება:
ლამა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვარტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ვიორგო ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტაჟორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მაია აბოიანიძე, ნათელა ვიორგოიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დეკაძე, სვეტა დეკაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, ვაა ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოძროშაძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გაზონი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29